პროლეტარებო უველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 16 (11322)
კვირა,
18
იანვარი
1959 წ.

ფასი 20 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხვალ იხსნება საქართველოს საბჭოთა მწერლების მეხუთე ყრილობა.

მხურვალე სალამი ყრილობის დელეგატებს —მხატვრული სიტყვის ოსტატებს!

გულითადი მადლობა

იმასთან დაკავშირებით, რომ 1959 წლის 2 იანვარს საბჭოთა კავშირში გაშვებულ იქნა კოსმოსური რაკეტა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელზე მოსულია და კვლავ მოდის ბევრი მისალოცი წერილი საბჭოთა საწარმოებისა და დაწესებულებების მუშებისა და მოსამსახურეებისაგან, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციისაგან, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან, აგრეთვე უცხო ქვეყნების ცალკეულ მოღვაწეთაგან, კერძო პირთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათაგან.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითად მადლობას უძღვნიან ყველა საბჭოთა ადამიანს, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების კოლექტივებს მათი მოლოცვისათვის და გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ კოსმოსური რაკეტის წარმატებითი გაშვება მძლავრ სტიმულს მისცემს საბჭოთა ადამიანებს, რათა ახალ წარმატებებს მიაღწიონ სოციალისტური სამშობლოს სადიდებლად, კომუნიზმისათვის.

საბჭოთა ხალხის ეს წარმატება ამავე დროს არის მთელი პროგრესული და მშვიდობისმოყვარე კაცობრიობის დიდი გამარჯვება. უდიდესი მეცნიერული ექსპერიმენტი განხორციელდა არა მარტო ადამიანის მიერ სამყაროს შემდგომი შეცნობისა და ბუნების ძალთა დამორჩილების ინტერესებისათვის, არამედ აგრეთვე ხალხთა დაახლოებისა და მათ შორის მეგობრული თანამშრომლობის ინტერესებისათვის. საბჭოთა კავშირი იყო და არის ამ დიადი იდეების აქტიური დამცველი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულწრფელ მადლობას უძღვნიან ყველა უცხოელ მოღვაწეს, კერძო პირებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მათი გულთბილი გრძნობისა და კეთილი სურვილებისათვის, რომლებიც გამოთქვეს საბჭოთა კოსმოსური რაკეტის გაშვებასთან დაკავშირებით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების ჩატარების შესახებ

იმის გამო, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებას ვადა უთავდება 1959 წლის 27 თებერვალს და საქართველოს სს რესპუბლიკის მეექვსე მოწვევის მშრომელთა დეპუტატების საოლქო. რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების უფლებამოსილებას — 1959 წლის 17 მარტს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

დაინიშნოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები კვირას, 1959 წლის 15 მარტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი, 1959 წ. 17 იანვარი.

კომუნიზმის იდეებით შთაგონებული ლიტერატურა

ხვალ იხსნება საქართველოს საბჭოთა მწერლების მეხუთე ყრილობა. ეს არის დიდი მოვლენა მთელი ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში. ყრილობა ხელს შეუწყობს ჩვენი რესპუბლიკის კულტურის შემდგომ აღმავლობას და დასახავს გზებს ხალხის ცხოვრებასთან ლიტერატურის მჭიდრო კავშირის განმტკიცებისა და მისი იდეურ-მხატვრული დონის ამაღლებისათვის.

საქართველოს საბჭოთა მწერლების მეხუთე ყრილობა იკრიბება იმ დღეებში, როდესაც მთელი ჩვენი ხალხი ახალი ენერგიით შეუდგა შვიდწლედით დასახულ გრანდიოზულ ამოცანათა შესრულებას და ახლა გაცხოველებით ემზადება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობისათვის, როდესაც ჩვენს ქვეყანაში დღითიდღე ჩაღდება ახალი სახალხო მოძრაობა კომუნისტური შრომის ბრიგადების სახით, რომელიც მშრომელთა მაღალი პატრიოტული შეგნების, პარტიისა და ხალხის მონოლითური ერთიანობის, პარტიის საქმისათვის საბჭოთა ადამიანების უსაზღვრო ერთგულების მკაფიო გამოხატულებაა.

ჩვენი ლიტერატურა მოწინავე საზოგადოებრივი წყობილების — სოციალისტური წყობილების ლიტერატურაა, მის წარმატებებს და ხასიათს განაპირობებს ის უდიდესი გამარჯვებები, რომლებიც პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით მოიპოვა საბჭოთა ხალხმა მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში.

მთელ მრავალეროვნულ საბჭოთა ლიტერატურასთან ერთად უკანასკნელ წლებში სერიოზული წარმატებები მოიპოვა ქართულმა მწერლობამ. „საბჭოთა საქართველოს ლიტერატურა და ხელოვნება, — წერდა გაზეთი „პრავდა“, — რომლებსაც ფესვები ღრმად აქვთ გადგმული ხალხის ცხოვრებაში, რომლებმაც მემკვიდრეობით მიიღეს უმდიდრესი მხატვრული საგანძური, ერთვულნი არიან შოთა რუსთაველის ანდერძისა, რომელიც თავისი „ვეფხისტყაოსნის“ საუცხოო სტროფებში ჯერ კიდევ რვა საუკუნის წინათ უმღეროდა ხალხთა ძმობას, როგორც ადამიანის ცხოვრების საუკეთესო სამკაულს. ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები ერთგულნი არიან თავიანთი სახელოვანი წინამორბედების — დავით გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ხალხთა მეგობრობის ამ მგზნებარე დამცველების კეთილშობილური ანდერძისა. ფრთოსანი და ამაყი მერანი, ყველა დაბრკოლების გადალახვით შეუჩერებლივ რომ ისწრაფვის წინ, რომელსაც ასეთი შთაგონებული ძალით უმღერა ნიკოლოზ ბარათაშვილმა, დღესაც რჩება ხალხის სამსახურის საუცხოო სიმბოლოდ“.

მართლაც, ქართულ საბჭოთა მწერლობაში, მის პოეზიასა და პროზაში ცოტა როდია ისეთი ნაწარმოები, რომელიც ღრმად სწვდება ადამიანის სულსა და გულს, უნერგავს მას პატრიოტიზმის მაღალ იდეალებს. მიუხედავად ამისა, საბჭოთა მკითხველს მაინც აქვს მრავალი სამართლიანი პრეტენზია ქართული საბჭოთა მწერლობისადმი. ჯერ კიდევ ცოტაა ძლიერი და ნათელი ნაწარმოები სახელოვანი მუშათა კლასის, ინტელიგენციის, ჩვენი მჩქეფარე ახალგაზრდობის ცხოვრების, მათი ხასიათის რევოლუციური განვითარების შესახებ.

უმნიშვნელოვანეს პარტიულ დოკუმენტებში „ხალხის ცხოვრებასთან ლიტერატურისა და ხელოვნების მჭიდრო კავშირის შესახებ“ საბჭოთა ლიტერატურის წარმატებათა მაღალ შეფასებასთან ერთად მკაფიოდ არის აღნიშნული, რომ ჩვენი ლიტერატურის სასიცოცხლო წყარო, მისი უმნიშვნელოვანესი თემა ჩვენი თანამედროვეობაა.

საბჭოთა ლიტერატურამ და ხელოვნებამ, რომლებიც დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ კომუნისტურ მშენებლობასა და ახალი ადამიანის აღზრდაში. — აღნიშნულია სკკპ რიგგარეშე XXI ყრილობის მოხსენების თეზისებში, — თანამედროვე პირობებში კიდევ უფრო უნდა განამტკიცონ კავშირი ხალხის ცხოვრებასთან, უფრო სრულად ასახონ საბჭოთა ხალხის ბრძოლა კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის.

ლიტერატურის მოღვაწეები მოწოდებული არიან აამაღლონ თავიანთი შემოქმედების იდეურ-მხატვრული დონე, კვლავაც იყვნენ პარტიისა და სახელმწიფოს აქტიური თანაშემწენი მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში, მრავალეროვნული სოციალისტური კულტურის განვითარებაში, მაღალი ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაში, კომუნისტური მორალის პრინციპების პროპაგანდაში.

ბუნებრივია, რომ ეს მაღალი და კეთილშობილური იდეა, ხალხის ნამდვილი სამსახურის იდეა, პრინციპული, კომუნისტური დამოკიდებულება შემოქმედებისადმი საფუძვლად დაედება საქართველოს საბჭოთა მწერლების მეხუთე ყრილობის მუშაობას.

საქართველოს საბჭოთა მწერლების მეხუთე ყრილობის ყურადღების ცენტრში იქნება მხატვრული შემოქმედების პარტიულობისა და ხალხურობის პრობლემები, ლიტერატურის კავშირი ცხოვრებასთან, სოციალისტური რეალიზმის შემდგომი განვითარების, მწერლის მხატვრული ოსტატობის პრობლემები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ახალგაზრდა მწერლებთან მუშაობის, ნიჭიერი ახალგაზრდობის გამოვლინებასა და დაწინაურებას, მისდამი მომთხოვნელობის გაძლიერებას.

მაღალ შეფასებას აძლევს რა ლიტერატურასა და ხელოვნებას, პარტია მწერალს და ხელოვნების ყველა მუშაკს თვლის თავის თანაშემწედ მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში. ეს მაღალი შეფასება მოითხოვს საბჭოთა მწერალი უფრო აქტიურად მონაწილეობდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, უფრო ახლოს იდგეს მშრომელთა ფართო მასებთან, აღმაფრთოვანებლად, ოსტატურად, დამაჯერებლად წერდეს ახალი ცხოვრების შემქნელი. კომუნიზმის მშენებელი ადამიანების შესახებ.

მხურვალე სალამი საქართველოს საბჭოთა მწერლების მეხუთე ყრილობას!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

საქართველოს საბჭოთა მწერლების მეხუთე ყრილობის დელეგატების საპატიოდ

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობა იუწყება, რომ საქართველოს საბჭოთა მწერლების მეხუთე ყრილობა გაიხსნება 19 იანვარს, დღის 12 საათზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (საქართველოს სსრ მთავრობის სახლი).

მოსახლეობის აღწერა გრძელდება

გუდამაყრის მთებში

დედაქალაქიდან გუდამაყრამდე ცხრა მთა და ამდენივე მდინარე მაინც იქნება. მაგრამ მწვერვალებით შემოჯარული და ვიწრო ხეობაში ჩამჯდარი გუდამაყარი გარეშე სამყაროსაგან მოწყვეტილი როდია. საქართველოს ამ შორეულ კუთხეშიც ორგანიზებულად დაიწყო მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა.

ზაფხულშიც ძნელია გუდამაყრის მთებში და ბილიკებზე სიარული, ზამთარში მითუმეტეს... ამიტომ იყო, რომ აღმწერები შალვა მოლოდინი და პავლე წიკლაური წინადღესვე გაუდგნენ გზას თავიანთი უბნებისაკენ.

სოფელი ბაკურხევი, სადაც ხევსურები ცხოვრობენ, გაშენებულია ფხიტურის უღელტეხილს გადმოღმა. აქედან არც ისე შორს არის სოფლები სიჯანაანი, ფახვიჯი, საჩალისჭალა, თოთიაურები. ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული არიან მთის ვიწრო ბილიკებით.

მთებში მოხუცებს განსაკუთრებულ პატივს სცემენ. ამიტომ შალვა მოლოდინმა პირველად ყველაზე უხუცეს ხევსურებს ძილა და ბეწინა ფიცხელაურებს მიაკითხა.

გულითადი საუბარი ჰქონდა მოლოდინს თოთიაურელ ვლადიმერ ჩოხელთან. კულტურულად და შეძლებულად ცხოვრობს მთიელი კოლმეურნის ოჯახი. ვლადიმერის შვილი სიმონი სასოფლო - სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელი ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტია და ამჟამად დუშეთის სარემონტო-ტექნიკურ სადგურში მუშაობს მექანიზატორად.

რევოლუციამდე გუდამაყარში არ იყო არც ერთი სკოლა, თითებზე ჩამოითვლებოდა წერა-კითხვის მცოდნენი. სიბნელე და სიღარიბე მწყემსის მუდმივი თანამგზავრი იყო. ახლა აქ არსებობს ორი შვიდწლიანი სკოლა, თითქმის ყველა სოფელშია დაწყებითი სკოლა, ხეობის ცენტრში — კიტოხში მუშაობს საექიმო პუნქტი, არის სამკითხველო, მაღაზია, ზოოვეტუბანი, სოფლების ნაწილს ელექტრობა ანათებს.

გუდამაყრელები ამაყობენ თავიანთი კოლმეურნეობებით. რაიონში სახელი გაითქვეს გუდამაყრის ვ. ი. ლენინის და მაქართის ი. ბ. სტალინის სახელობის სასოფლო- სამეურნეო არტელებმა, რომლებიც უმთავრესად მეცხვარეობას მისდევენ. ამჟამად ბევრი გუდამაყრელი იმყოფება კასპიისპირეთში — ნოლაის საზამთრო საძოვრებზე და თავისი თავდადებული შრომით ასახელებს დედა სამშობლოს.

აღწერის პირველი დღეების მასალები მოწმობენ, თუ როგორ გაიზარდა გუდამაყრის მოსახლეობა, საბჭოთა ხელისუფლების წლებში რა დიდ წარმატებებს მიაღწია ერთ დროს მიყრუებულმა და ყველასაგან დავიწყებულმა კუთხემ.

ა. თოდუაძე,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

დიდი აქტივობით

სტალინირი. (საკ. კორ.). სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში წარმატებით მიმდინარეობს მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა. ლენინგორისა და ჯავის რაიონების, აგრეთვე სტალინირის რაიონის ბიყარის, ბელოთის, გერის სასოფლო საბჭოებში აღწერა ადრევე ჩატარდა, რადგან ზამთრის მკაცრ პირობებში იქ გართულდებოდა მუშაობა.

საოლქო ცენტრი—ქალაქი სტალინირი დაყოფილია ექვს საინსტრუქტორო და 32 საადწერო უბნებად. ყველა აღმწერი და ინსტრუქტორ-კონტროლიორი გულდასმით იცნობს მათზე მიმაგრებულ უბნებს, ისინი უზრუნველყოფილი არიან აღწერისათვის საჭირო დოკუმენტაციით. ქალაქ სტალინირში და მის რაიონში 300-ზე მეტი აღმწერი და კონტროლიორი ხალისით აწარმოებს მოსახლეობის აღწერას. სტალინირის საადწერო განყოფილებაში (გამგე ა. გაზაევი) ყოველდღე მოდის ცნობები იმის შესახებ, რომ მოსახლეობის აღწერა ორგანიზებულად წარმოებს.

აღმწერებს დიდ დახმარებას უწევენ ადგილობრივ საბჭოებთან შექმნილი მოსახლეობის აღწერის ხელშემწყობი კომისიები.

აღმწერები კოლმეურნეობებში

მახარაძის რაიონის სოფლების — ძიმითის, შრომის, ნატანების, გურიანთის, ნაგომრის კოლმეურნეობებში გულთბილად, პატივისცემით შეხვდნენ აღმწერებს.

სახე იცვალა სოფელ ძიმითის „ახალგაზრდა კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის წევრის ელპიტე მგელაძის ოჯახმა. მართალია, საადწერო ფურცელში არ ჩაიწერება, მაგრამ მთელ კოლმეურნეობას ეამაყება, რომ ამ ოჯახის ორი წევრი სოციალისტური შრომის გმირია და ასეთი ოჯახი ცოტა როდია მახარაძის რაიონში.

ქალაქ მახარაძის მცხოვრებთა აღწერამ ნათელყო, რომ უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი ერთიორად გაიზარდა.

(საკ. კორ.).

საბჭოთა კავშირ-ირანის ურთიერთობის გამო

სსრ კავშირის ელჩმა ირანში ნ. მ. პეგოვმა 1958 წლის 28 დეკემბერს ინახულა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰექმათი და იმასთან დაკავშირებით, რომ განზრახულია დაიდოს ირან-ამერიკის სამხედრო შეთანხმება, რომელიც იწვევს საბჭოთა კავშირ-ირანის ურთიერთობის სერიოზულ გაუარესებას და აძლიერებს დაძაბულობას ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონში, დამატებით საბჭოთა მთავრობის 1958 წლის 31 ოქტომბრის განცხადებისა გადასცა საბჭოთა მთავრობის სამახსოვრო ბარათი.

სამახსოვრო ბარათში აღნიშნულია, რომ საბჭოთა მთავრობა შეშფოთებულია იმით, რომ ირანის შაჰინშაჰის მთავრობა გარკვეული დროის განმავლობაში ახორციელებს ისეთ საგარეოპოლიტიკურ და სამხედრო ღონისძიებებს, რომლებიც არ შეიძლება არ იქნას შეფასებული, როგორც პოლიტიკა, მიმართული საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რომელსაც ირანთან აქვს საკმაოდ დიდი სიგრძის საერთო საზღვარი. საბჭოთა მთავრობამ უკვე მიაქცია ირანის შაჰინშაჰის მთავრობისა და პირადად შაჰინშაჰის ყურადღება, კერძოდ, განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას, რომელსაც სსრ კავშირის მთავრობა ანიჭებს ცნობებს, რომ განზრახულია ირანის სამხედრო შეთანხმების დადება ამერიკის შეერთებულ შტატებთან, და ასეთი ნაბიჯის მეტად საშიშ ხასიათს. ამგვარი აქცია ირანის მთავრობის მხრივ სრულიადაც არ აუმჯობესებს ჩვენი ქვეყნების ურთიერთობას, არამედ, პირიქით, წარმოშობს გასაგებ უნდობლობას შაჰინშაჰის მთავრობის პოლიტიკისადმი და საბჭოთა კავშირ-ირანის ურთიერთობ ი ს სერიოზულ გაუარესებას იწვევს.

სამახსოვრო ბარათში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ასეთი სამხედრო ხელშეკრულების დადება იქნებოდა მკვეთრი მობრუნება ირანის მთავრობის პოლიტიკაში, ირანს ჩააყენებდა საბჭოთა კავშირის მოწინააღმდეგეთა რიგებში და შესაძლოდ გახდიდა ირანის გამოყენებას იმ გარეშე ძალების მიერ, რომლებიც არც კი მალავენ თავიანთ აგრესიულ გეგმებს, მიმართულს სსრ კავშირისა და სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოების წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირი, ნათქვამია სამახსოვრო ბარათში, ამერიკის შეერთებულ შტატებთან ირანის სამხედრო შეთანხმების განზრახული დადების წინააღმდეგ გამოდის არა იმიტომ, რომ მას ეშინია სსრ კავშირზე ირანის თავდასხმისა. მაგრამ სსრ კავშირის მთავრობას მიაჩნია, რომ ასეთი შეთანხმების დადება ფაქტიურად მოასწავებს ირანის გადაქცევას პლაცდარმად მესამე სახელმწიფოების სამხედრო გამოსვლებისათვის სსრ კავშირისა და სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოების წინააღმდეგ.

სამახსოვრო ბარათში აღნიშნულია, რომ საბჭოთა მთავრობა გულწრფელად გამოთქვამს იმედს, რომ ირანის მთავრობა გამოიჩენს სახელმწიფოებრივ სიბრძნესა და შორსმჭვრეტელობას, თუ იგი ნამდვილად აფასებს ირანის ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან. საბჭოთა მთავრობას წინანდებურად მიაჩნია, რომ ახლო და შუა აღმოსავლეთი შეიძლება გახდეს და უნდა გახდეს მშვიდობის ზონა, სახელმწიფოთა კეთილი მეზობლობისა და მეგობრული თანამშრომლობის ზონა, თავისუფალი უცხოეთის ჯარებისა და სამხედრო ბაზებისაგან, აგრეთვე ატომგულისა და რაკეტული იარაღისაგან. იგი ადასტურებს თავის განცხადებას იმის შესახებ, რომ, თუ ახლო და შუა აღმოსავლეთის ესა თუ ის სახელმწიფოები, რომლებსაც სურთ დაიცვან სამშვიდობო და ნეიტრალური პოლიტიკა, დასვამენ საკითხს თავიანთი უშიშროებისა და ტერიტორიული ხელშეუხებლობის გარანტიის შესახებ, საბჭოთა კავშირი მზად იქნება სხვა სახელმწიფოებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს ამგვარ გარანტიაში.

სსრ კავშირის მთავრობა, ხაზგასმით აღნიშნულია სამახსოვრო ბარათში, მზად არის აზრთა ურთიერთგაზიარებისათვის აღძრულ საკითხებზე, და თუ ირანის მთავრობას ნამდვილად სურს კეთილი ურთიერთობა იქონიოს საბჭოთა კავშირთან და არ განახორციელებს მესამე სახელმწიფოებთან სამხედრო თანამშრომლობის ღონისძიებებს, რომლებიც ზიანს აყენებენ საბჭოთა კავშირ-ირანის ურთიერთობას და საბჭოთა კავშირის უშიშროებას, სსრ კავშირის მთავრობა თავის მხრივ მზად არის მიიღოს ღონისძიებანი, რათა ირანის მთავრობასთან ერთად გამონახოს საბჭოთა კავშირ-ირანის ურთიერთობის გაუჯობესე ბ ი ს გზები და ხელი შეუწყოს ახლანდელი ვითარების გაჯანსაღებას ახლო და შუა აღმოსავლეთში. (საკ.).

ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა ქართული ენის შესახებ. ჩვენი მშობლიური ენის შენახვისა და დაცვის მაღალი დროშა ისტორიულად უმეტესად ქართულ მწერლობას ეჭირა. მან გამოატარა იგი ჩვენი ქვეყნის შავ სუკუნეებში და სახელოვნად ჩაგვაბარა ჩვენ. ქართულმა ენამ საბჭოთა პირობებში უდიდეს განვითარებას მიაღწია. შედგა ქართული განმარტებითი ლექსიკონი, შექმნილია სატერმინოლოგიო კომიტეტი, ორგზის გამოიცა რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტექნიკური ლექსიკონები და სხვ. მაგრამ ენის განვითარებას, უნდა ვთქვათ, ვერავითარი ლექსიკონი ვერ უშველის, თუ ის პრაქტიკულ, ყოველდღიურ ხმარებაში არ არის.

ვერ ვიტყვით, რომ ზოგჯერ ჩვენი მწერლებიც არ ცოდავდნენ ქართული ენის მიმართ. არის შემთხვევები, როცა ენას, ამ სასახელო „ქონებას“, ზოგიერთი მწერალი თვითნებურად ეპყრობა, არღვევს ენის ნორმებს. მაგალითად, კ. გამსახურდია დღეხაც ჩვენს დედაქალაქს უწოდებს არა „თბილისს“, როგორც ეს დადგენილია სახელმწიფოს მიერ, არამედ „ტფილისს“, როგორც ეს იწერებოდა ზოგჯერ ჩვენს ძველ სიგელ-გუჯრებში. მომდევნო თაობის მწერლები კიდევ უფრო შორს მიდიან ხოლმე. მწერალმა ლ. გოთუამ დაწერა კარგი ისტორიული რომანი „გმირთა ვარამი“, მაგრამ ეს ნაწარმოები სავსეა ავტორისეული უცნაური კომპოზიციებით, ისეთი სიტყვებით, როგორიც არის: „ალაზანხალხი“, „ძარღვდაღლილობა“, „დიდბოდიშა უარი“, „არფიქრობა“, „გრემძლიერი მზე“, „ხშირდაბალა ტყე“, „ზარბაზანხალხი“, „ბერჩუმი“. ბერჩუმი ნიშნავს ჩუმ ბერს, ვითომც და დიდი მნიშვნელობა მქონდეს დღევანდელი მკითხველისათვის, ბერი ჩუმი იქნება თუ ხმოვანი. ასევე უცნაური ქართულით არის დაწერილი ზემოხსენებული რომანი „მეჩიჩი“; „დაიწყო ჯავრის ამოყრაი“, „მოვიდა გიგოი“, „აუვირდებოდა გელაი“, „მოისვენა გიგომ“. ასეთი წვალება ქართულ მრავალსაუკუნოვან ენას არ ესაჭიროება.

ქართველ საბჭოთა მწერლებს ღრმად აქვთ შეგნებული ის დიადი ამოცანები, რომლებსაც მათ წინაშე აყენებს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი შვიდწლიანი გეგმა, კომუნიზმის მშენებლობის ახალი ეტაპი.

მიუხედავად მნიშვნელოვანი ძვრებისა, დრამატურგია ჯერჯერობით ჩამორჩება დღევანდელი დღის მაღალ მოთხოვნას. რესპუბლიკის თეატრების სცენაზე ცოტაა თანამედროვე თემაზე დაწერილი პიესები.

მწერალთა ყრილობას მნიშვნელოვანი წარმატებებით შეეგებენენ ჩვენი პოეტები. კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს, რომ ისინი კიდევ უფრო მეტი ენერგიით განასახიერებენ თავიანთ ნაწარმოებებში თანამედროვეობის პეროიკას. ეს ბანაკუთრებით, იგრძნობა ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის მოსკოვის დეკადის შემდეგ. მკითხველი ახალი ნაწარმოებებით გაახარეს ჩვენმა პოეტებმა.

ახალი მაღალიდეური ნაწარმოებებით გამდიდრდა ქართული ლიტერატურათმცოდნეობაც. ცალკე წიგნებად გამოვიდა და პერიოდულ პრესაში იბეჭდება კრიტიკოსების კრიტიკული და სამამთავრო სტატიები. მაგრამ ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა ჯერ კიდევ ჩამორჩება ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებას.

ემზადებოდნენ რა ყრილობისათვის, ქართველმა მწერლებმა მნიშვნელოვნად გააქტიურეს თავიანთი საქმიანობა. ბევრი მათგანი შემოქმედებითს ანგარიშს აბარებს საწარმოებს, კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს. კომუნისტური შრომის ბრიგადებს. გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირის განყოფილებათა საანგარიშგებო სხდომები ქუთაისში, ბათუმში, სტალინირში. მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩაიარა აფხაზეთის მწერალთა პირველმა ყრილობამ.

ქართველმა ლიტერატორებმა მოაწყეს ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის დიდი ლიტერატურული საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აზერბაიჯანელი და სომხური ლიტერატურის წარმომადგენლებმა. მიღებული გადაწყვეტილება, რომ დაწესდეს ამიერკავკასიის სამი მოძმე რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობის ტრადიციული დღე.

საქართველოს მწერალთა კავშირმა ამას წინათ გამართა რესპუბლიკის ახალგაზრდა ლიტერატორთა ხუთდღიანი თათბირი-სემინარი, რომელმაც გამოავლინა მთელი რიგი ნიჭიერი მწერლები.

საქართველოს მწერალთა ყრილობაზე განხილულ იქნება ბევრი შემოქმედებითი პრობლემა, გაგრძელდება უკვე დაწყებული სერიოზული მსჯელობა ქართული ლიტერატურის შემდგომი განვითარების გზების შესახებ.

საქართველოს მწერალთა წინაშე დასაბუთებულია სერიოზული ამოცანები, რომელთაგან მთავარია კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანების, ჩვენი დროის ნამდვილი გმირების ხრულფასოვანი სახეების შექმნა. საბჭოთა მომთხოვნი მკითხველის წინაშე დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით ეგებებიან საქართველოს ლიტერატორები თავიანთ ყრილობას.

ასე მოვედით ყრილობაზე

საუბარი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პირველ მდივანთან

ი. აბაშიძესთან

ამჟამად საბჭოთა კავშირის ყველა მომძე რესპუბლიკაში მიმდინარეობს მწერალთა ყრილობები.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე მწერლები შეიკრიბებიან სრულიად საკავშირო მესამე ყრილობაზე. ძირითადი საკითხი, რომელსაც ეს ყრილობები განიხილავენ, არის ის ამოცანები, რომლებსაც საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი შვიდწლიანი გეგმა აყენებს ყოველი დარგის მუშაკთა წინაშე და, მათ შორის, მწერლობის წინაშეც.

რადგანაც ჩვენი გმირული ცხოვრების ასახვა ყველაზე მეტად შეუძლია პროზას, ბელეტრისტიკას, მისი მოცულობისა და ტევადობის გამო, ჩვენც ყრილობაზე პირველ რიგში შევჩერდებით ქართული საბჭოთა პროზის, ჩვენი ბელეტრისტიკის განვითარების საკითხებზე.

ქართული პროზა სავსებით დამსახურებულად ერთ-ერთ პირველ ადგილზე დგას საბჭოთა კავშირის ლიტერატურაში. ჩვენი ბელეტრისტების ნაწარმოებნი თარგმნილია და დიდი მოწონებით სარგებლობენ რუს მკითხველთა შორის, ჩვენი მომძე რესპუბლიკების მკითხველებში. მან გზა გაიკაფა ჩვენი ქვეყნის საზღვრების გარეთაც და უცხოეთშიც დიდი მოწონებით სარგებლობს. ჩვენ გვაკვს პროზაიკოსთა გამოცდილი და სახელმოხვეჭილი კადრები, რომლებსაც შეუძლიათ ღირსეულად ასახონ ჩვენი ხალხის გმირული შრომა.

ქართველ მწერალთა პროზაულმა ნაწარმოებებმა დიდი მოწონება დაიმსახურეს ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის მემდინარეობის დროს ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვში. განსაკუთრებული აღიარება ჰპოვა სწორედ იმ რომანებმა, რომლებიც ამ უკანასკნელ წლებში იწერებოდა. „გვირგვილიანების ოჯახმა“, „ვაზის უკვალობამ“, „ნატვრის თვალმა“, რომანებმა „ალაზნის პირას“ და „უღელტეხილზე“, „მყუდრო სავანემ“ და „ჯარისკაცის ქვრივმა“. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული პროზის ამ აღმავლობაში დიდი როლი შეასრულეს პროზაიკოსთა ახალმა კადრებმა. მათ მოიტანეს ახალი ცოცხალი სიტყვა, ახალი თემა, ახალი ხურნენელება. სამამულო ომის მეორე დღე ჩვენს ცხოვრებაში — აი ახალგაზრდა შემოქმედთა მთავარი თემა. მათს რომანებსა და მოთხრობებში ტრიალებენ და იღვწიან სამამულო ომში გმირულად დაღუპული ქართველი ჯარისკაცების ქვრივები, შორაქსა და იორზე მიწას ებრძვიან ნაომარი ქართველი ჯარისკაცები. თავდადებულ შემოქმედებით შრომას ეწევიან ახალგაზრდა საბჭოთა სპეციალისტები, ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა პატრიოტები. ჩვენს ლიტერატურულ სარბიელზე გამოჩნდნენ მეტად ნიჭიერი ახალი ძალები, ახალი ბელეტრისტები. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი მათგანის მუშაობაში ვხვდებით შეცდომებს, და ზოგჯერ მეტად სავალალო შეცდომებსაც. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა თავის ორდღიან საჯარო სხდომაზე განიხილა „მნათობში“ გამოქვეყნებული რომანი „მეჩიჩი“. ქართველმა მწერლებმა მკაცრად გააკრიტიკეს იგი, როგორც მანკიერი ნაწარმოები. ჩვენ არ ვიტყვით, რომ ასეთი შეცდომები და ჩავარდნები ხშირი იყოს ჩვენს მწერლობაში, მაგრამ ეს ცალკეული შემთხვევებიც კი ძალიან ბევრს ავალებს საბჭოთა მწერლებს.

**ასევე გვინდა აღვნიშნოთ, რომ პროზის ამ აღმავლობაში დიდი როლი შეასრულეს პროზაიკოსთა ახალმა კადრებმა. მათ მოიტანეს ახალი ცოცხალი სიტყვა, ახალი თემა, ახალი ხურნენელება. სამამულო ომის მეორე დღე ჩვენს ცხოვრებაში — აი ახალგაზრდა შემოქმედთა მთავარი თემა. მათს რომანებსა და მოთხრობებში ტრიალებენ და იღვწიან სამამულო ომში გმირულად დაღუპული ქართველი ჯარისკაცების ქვრივები, შორაქსა და იორზე მიწას ებრძვიან ნაომარი ქართველი ჯარისკაცები. თავდადებულ შემოქმედებით შრომას ეწევიან ახალგაზრდა საბჭოთა სპეციალისტები, ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა პატრიოტები. ჩვენს ლიტერატურულ სარბიელზე გამოჩნდნენ მეტად ნიჭიერი ახალი ძალები, ახალი ბელეტრისტები. თუმცა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის შესახვედრად

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების განხილვა

★ ★

მეშახტეები ახალი ამოცანების წინაშე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისები ითვალისწინებს ქვანახშირის მრეწველობის შემდგომ განვითარებას, განსაკუთრებით საკოქსე ნახშირის მოპოვების გადიდებას.

ეს საქართველოს მეშახტეებს მეტად მნიშვნელოვან ამოცანებს უსახავს. 1965 წელს საქართველოში ქვანახშირის მოპოვებამ 3.800 ათას ტონას უნდა მიაღწიოს, რაც 24,6 პროცენტით აღემატება 1958 წლის გეგმის შესრულებას. საკოქსე კონცენტრატის გამომუშავება გაიზრდება 30,7 პროცენტით, სათბობზე მოსახლეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ტყიბულის ქვანახშირის ბაზაზე გათვალისწინებულია ქვანახშირის ბრიკეტების წარმოების მოწყობა.

შვიდწლედში საქართველოს ქვანახშირის მრეწველობაში კაპიტალური დაბანდებანი 994 მილიონ მანეთს შეადგენს. აქედან სამრეწველო დანიშნულების ობიექტების მშენებლობაზე — 830 მილიონი მანეთი დაიხარჯება, ხოლო საბინაო მშენებლობაზე—164 მილიონი მანეთი.

შვიდწლედის განმავლობაში საექსპლოატაციოდ გადაეცემა სამი შახტი. ამასთანავე ერთად დაიწყება ორი ახალი შახტის მშენებლობა.

1959-1965 წლებში ტყიბულში აშენდება ცენტრალური გამაუხვებელი ფაბრიკის მეორე რიგი, რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხანა, ჩატარდება ლენინის სახელობის შახტის საკარიერო მეურნეობის რეკონსტრუქცია, შენილ იქნება დიდძალი მოწყობილობა, მექანიზმები.

საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა ძირითად ამოცანას წარმოადგენს შეამცირონ ქვანახშირზე მოთხოვნილებასა და მოპოვებას შორის არსებული განსხვავება და დონეცის აუზიდან ქვანახშირის შემოზიდვა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში.

ამ ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვს, პირველ რიგში, საშახტო მშენებლობის ფართოდ გაშლას და ახალი შახტების ჩაყენებას მწყობრში.

წინასწარი გამოანგარიშებით, შახტ „შაორი № 1“-ის საექსპლოატაციოდ გადაცემა, რაც შვიდწლედის მიმდევნო პერიოდშია გათვალისწინებული, ვერ გადაწყვეტს ქვანახშირზე საქართველოს მოთხოვნილების დაკმაყოფილების საკითხს. მეორე მხრივ, საბადოს რთული გეოგრაფიული მდებარეობისა და ქვანახშირის ფენების მიწის ზედაპირიდან ღრმად განლაგების გამო შახტის მშენებლობის რენტაბელობა უშუალოდ დამოკიდებულია შახტის საპროექტო სიმძლავრის გადიდებაზე. საჭირო ეს კარგად გათვითვალისწინოთ.

შაორის საბადოს გადახსნა უნდა მოხდეს ზესტაფონის რაიონის სოფელ მუჯირეთიდან ორი შტოლნით. აქვე აგებულ იქნება გამაუხვებელი ფაბრიკა. ქვანახშირის მოპოვება იწარმოებს გამომუშავებული სივრცის ჰიდრავლიკური ვსებით.

იმასთან დაკავშირებით, რომ შახტ „შაორი № 1“-ის საპროექტო სიმძლავრე მიღებულ უნდა იქნას 3 მილიონი ტონის რაოდენობით, საჭიროა კომბინატ „საქქვანახშირის“ შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებული კაპიტალური დაბანდებანი 150 მილიონი მანეთით მაინც გაიზარდოს.

შაორის ქვანახშირის საბადოს ათვისება საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად გავადიდოთ საკოქსე კონცენტრატის გამომუშავება ჩვენი რესპუბლიკის მეტალურგიული მრეწველობისათვის, ხოლო მეორე მხრივ მოვიპოვოთ ქიმიური მრეწველობისათვის ძვირფასი ნედლეული — ლიპტობიოლიტური ქვანახშირები.

ამასთან ერთად, შესწავლილ უნდა იქნას ტყიბულისა და შაორის ქვანახშირის გაუხვების შესაძლებლობა გრავიტაციულ-პეტროგრაფიული წესით, რაც საშუალებას მოგვცემს გავადიდოთ საკოქსე კონცენტრატის გამოსავალი, ამავე დროს მთლიანად გამოვიყენოთ ქვანახშირის მოპოვების პროცესში მიღებული ლიპტობიოლიტები, როგორც ნედლეული ქიმიური მრეწველობისათვის.

ახალი შახტების მშენებლობასთან ერთად, საქართველოში ქვანახშირის არსებული დეფიციტის დაფარვის მნიშვნელოვან წყაროს ამჟამად მოქმედი შახტების საპროექტო სიმძლავრეთა მაქსიმალური ათვისება წარმოადგენს. ეს უკანასკნელი მიღწეულ უნდა იქნას დამუშავების სისტემების სრულყოფის, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის უფრო ფართოდ დანერგვის და შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით. ამ მხრივ საქართველოს შახტებს მნიშვნელოვანი რეზერვები აქვთ, რომლებიც სრულად უნდა იქნან გამოყენებული. საჭიროა, რომ წარმოების მუშაკებს მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიონ სათანადო საკვლევ-სამეცნიერო ორგანიზაციებმა.

ბ. გუჯეჯიანი,
კომბინატ „საქქვანახშირის“ უფროსი.

ჩვენი წინადადებები

ეკონომიისათვის

მცხეთის რაიონის სოფელ ძეგვის კირის საამქრო, რომელიც 1954 წლამდე ოთხი ღუმელისაგან და ერთი კირის წისქვილისაგან შედგებოდა, ოთხ საშტატო ერთეულს აერთიანებდა. 1951 წელს საამქრო რატომღაც გაუქმდა, შეიქმნა ახალი ადმინისტრაციული აპარატი 18 კაცის შემადგენლობით. ადმინისტრაციული აპარატის გაბერვის გამო საამქროს ქარხანა უწოდეს. ამ აპარატის შენახვაზე ახლა 95.000 მანეთი იხარჯება.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია გაუქმდეს აღნიშნული ადმინისტრაციული აპარატი და აღდგეს საამქრო მმართველობის სისტემა. ეს ღონისძიება ყოველწლიურად ათეულ ათასობით მანეთ ეკონომიას მისცემს სახელმწიფოს.

ა. ჩხეიძე,
ინჟინერი.

შევამციროთ ადმინისტრაციული ხარჯები

მახარაძის რაიონში რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, მათი კეთილმოწყობის საქმეს ორი საგზაო ორგანიზაცია ემსახურება — საგზაო მშენებლობის № 18 უბანი და რაიისაბჭოს აღმასკომის საგზაო განყოფილება. ამ ორი დაწესებულების ადმინისტრაციული აპარატის შესანახად დიდძალი თანხები იხარჯება.

საჭიროდ მიგვაჩნია ამ ორი ორგანიზაციის გაერთიანება. ეს ხელს შეუწყობს მუშაობის გაუმჯობესებას. ამასთან მნიშვნელოვანი რაოდენობით დაიზოგება სახელმწიფო სახსრები.

ი. დიდმანიძე,
მახარაძის რაიისაბჭოს აღმასკომის საგზაო განყოფილების გამგე.

მანქანები — ნავთობის მრეწველობას

ქუთაისის მანქანათსამშენებლო ქარხანა, რომელიც დღემდე ძირითადად სამთო-საშახტო მანქანებს და მოწყობილობას ამზადებს, წელს დაიწყებს აგრეთვე ახალი სახის პროდუქციის — ნავთობის მრეწველობისათვის საჭირო ელექტროტექნიკური მანქანებისა და მოწყობილობის გამოშვებას.

ამიტომ აუცილებელია, რაც შეიძლება სწრაფად გადაეცეს საექსპლოატაციოდ საამწყობო-მექანიკური საამქროსათვის განკუთვნილი ახალი მექანიზმები, ამასთან მოწესრიგდეს როგორც საერთოდ ქარხანის, ისე საამქროს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საქმე.

შ. ადამია,
ქუთაისის მანქანათსამშენებლო ქარხნის საამწყობო-მექანიკური საამქროს უფროსი.

ავაგოთ გრეხილი ავეჯის ფაბრიკა

საჩხერის რაიონი განთქმულია სამასალე მერქანით. აქ ხის ძვირფასი ჯიშები ხარობს. ამასთან საჩხერეს ესაზღვრება საექსპლოატაციო ტყეებით მდიდარი ჯავის რაიონი. აქედან ამჟამად საჩხერის რაიონზე გაელით სად არ იგზავნება სამასალე ხე-ტყე, რაც დიდ ხარჯებს. ტრანსპორტის გადატვირთვას და სიძნელეებს იწვევს.

მიზანშეწონილი იქნება საჩხერის რაიონში აიგოს გრეხილი ავეჯის ფაბრიკა. ეს მრავალმხრივ გონიერული და გამართლებული იქნება. თავიდან ავიშორებთ დიდ უნაყოფო ხარჯებს, წარმოებაში დავასაქმებთ ახალგაზრდობას, გავაძლიერებთ რაიონის ეკონომიკას.

ა. მაჩიტიძე,
საჩხერის სატყეო მეურნეობის უფროსი მეტყევე ინჟინერი.

ტყიბულქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის ის ბრიგადა, რომელსაც ა. ბაკურაძე ხელმძღვანელობს, ჩაბმულია პარტიის XXI ყრილობის ალსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ყოველდღიურად ცვლაში გეგმის გადამეტებით 2,5 ტონა ქვანახშირს იძლევა. სურათზე: ა. ბაკურაძე ესაუბრება თავისი ბრიგადის წევრებს.

შევქმნათ მეღვინეობის მძლავრი ბაზა

როგორც ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებშია აღნიშნული, საქართველოში ყურძნის მოსავლიანობა უნდა გაიზარდოს 2,2-ჯერ, ამასთან ერთად გათვალისწინებულია პირველადი მეღვინეობის მკვეთრად გაფართოება.

შვიდწლიანი გეგმით კაპრეთის რაიონის კოლმეურნეობების წამყვანი დარგი მევენახეობა უნდა გახდეს. რაიონში გასულ წელს 800 ჰექტარი ახალი ვენახები გაშენდა, განახლების მიზნით რემონტი ჩატარდა 125 ჰექტარზე. მევენახეობის ასეთ მზარდ განვითარებას ვერ დააკმაყოფილებს ბადიაურის ღვინის ქარხანა, რომელიც 1.000 ტონა ყურძნის გადასამუშავებლად არის დაგეგმილი.

წელს აღნიშნულმა ქარხანამ 140 ათასი დეკალიტრი ღვინო დაამზადა, მაგრამ სათავსების უქონლობის გამო მიღებული ღვინის სამი მეოთხედი ღია ცისქვეშ არის.

კაპრეთის რაიონის ზოგიერთი კოლმეურნეობა კარდანახის ღვინის ქარხანას 35-50 კილომეტრით არის დაშორებული. ეს დიდ ხარჯებს იწვევს, ამცირებს ღვინის გამოსავლიანობას და ხარისხიც უარესდება.

ამიტომ, ჩემი აზრით, აუცილებელია უახლოეს ხანში კაპრეთის ახლოს აშენდეს 5.000-6.000 ტონა გამტარუნარიანობის ღვინის ქარხანა.

მ. ხაპარული,
სამტრესტის ბადიაურის ღვინის ქარხნის დირექტორი.

პროდუქციის გადიდების რეზერვი

ჩვენს ფაბრიკაში ამოხვეული ძაფი დასაგრეხად სხვა საწარმოებში იგზავნება. შემდეგ კი მოსაქსოვად მიაქვთ. საქმისათვის უმჯობესი იქნება, თუ ჩვენთან მოეწყობა ძაფის საგრეხი საამქრო. ამას დიდი კაპიტალური დაბანდება არ ესაჭიროება, რადგან საამისო შენობა გვაქვს. ამ ღონისძიების განხორციელებით ფაბრიკის მიერ გამოშვებული პროდუქცია ყოველწლიურად 10-15 მილიონი მანეთით გაიზრდება.

არის კიდევ მეორე საჭირბოროტო საკითხი, რომლის მოგვარება აუცილებლად მიგვაჩნია. საქმე ის არის, რომ ჯერჯერობით ახრეშუმის პარკის პირველადი გადამუშავება ტექნოლოგიური პროცესების დარღვევით ხორციელდება. ამის თავიდან ასაცილებლად საჭირო იქნება პარკის შესყიდვა და მისი პირველადი გადამუშავება უშუალოდ ფაბრიკაში განვახორციელოთ. ამით მნიშვნელოვან ეკონომიას მივცემთ სახელმწიფოს.

შ. ყარაულაშვილი,
თელავის ახრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკის დირექტორი.

გამოჩენილი მეცნიერი

აკადემიკოს ალ. ჯანელიძის დაბადების 70 წლისთავის გამო

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ალექსანდრე ალექსიოს-ძე ჯანელიძეს შეუსრულდა დაბადების 70 და საზოგადოებრივი და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წელი.

სახელმოხვეჭილ საბჭოთა მეცნიერთა შორის ჩვენს სასიქადულო იუბილარს ერთ-ერთი მოწონთა ადგილი უჭირავს. უაღრესად მნიშვნელოვანია ალ. ჯანელიძის დამსახურება ქართველი ხალხის და, საერთოდ, მთელი საბჭოთა ქვეყნის წინაშე. თავისი მრავალფეროვანი მოღვაწეობით, შრომებით თეორიული და პამოყენებითი გეოლოგიის სხვადასხვა დარგში ალ. ჯანელიძე კარგად არის ცნობილი მთელ ევროპაში და მის გარეთაც.

ქუთაისის ავტომობილო გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იგი უცხოეთში მიემგზავრება უმაღლესი განათლების მისაღებად. მას ორჯერ აქვს მიღებული უმაღლესი განათლების დიპლომი — პირველად პარიზში, მეორედ — ჩვენში. პარიზში 1910 წელს ამბავრეს სორბონის მეცნიერებათა ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებას, ხოლო შემდეგ ყაზანის უნივერსიტეტში ექსტერნად აბარებს გამოცდებს ე. წ. უფლებებში გათანასწორების მიზნით (იმ დროს უცხოეთში მიღებულ დიპლომს ძალა არა ჰქონდა რუსეთში). ყაზანის უნივერსიტეტში გამოცდების ბრწყინვალედ ჩაბარების შედეგად ალ. ჯანელიძეს ტოვებენ გეოლოგიის და პალეონტოლოგიის კათედრაზე ასპირანტად და ასისტენტად. აქ ის გატაცებით და ნაყოფიერად მუშაობს. 1918 წელს სამშობლოში ჩამოდის. ერთი წლის შემდეგ იწვევენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასპირანტად გეოლოგიის დარგში, შემდეგ კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით საფრანგეთში მიემგზავრება და გრენობლში იწყებს მუშაობას აკადემიკოს კილიანის გეოლოგიურ ლაბორატორიაში. აქ აწარმოებს სათრანგეთის ზედა იურის და ქვედა ცარცის ამონიტების დეტალურ შესწავლას. მომდევნო წლებში ალ. ჯანელიძე პარიზში გადადის და აგრძელებს მუშაობას გამოჩენილი გეოლოგის აკადემიკოს ოგის ლაბორატორიაში, ხოლო შემდეგ გერმანიაში — ქალაქ ჰალეში გამოჩენილი მეცნიერის ვალტერის ინსტიტუტში.

1923 წელს ალ. ჯანელიძე სამშობლოში ბრუნდება, სადაც მისთვის, როგორც ფართო განათლების ბუნებისმეტყველისათვის, ყველა პირობა იყო შექმნილი. იგი სათავეში ჩაუდგა უმაღლეს სასწავლებლებში გეოლოგიური კადრების აღზრდას და ფართო მასშტაბის მეცნიერულ კვლევას გეოლოგიის სხვადასხვა დარგში.

ალ. ჯანელიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბრწყინვალედ იცავს სადოქტორო დისერტაციას, რომლის საფუძველზე 1924 წელს ენიჭება პროფესორის წოდება და იმავე წელს ირჩევენ გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრის გამგედ. ამ დროიდან იგი ფართოდ აჩაღებს პედაგოგიურ მოღვაწეობას.

დიდია აკადემიკოს ალ. ჯანელიძის მოღვაწეობა პალეონტოლოგიაში. მის მიერ დასავლეთ საქართველოს ქვედა ცარცის (ალტერ) ნალექებში აღმოჩენილ და აღწერილ იქნა ამონიტების მეტად თავისებური გვარი, რომელსაც კოლიდიტესი უწოდა. ეს გვარი, როგორც შემდეგ გამოირკვა, ფართოდ გავრცელებულ აღმოჩნდა მთელ ევროპასთან ერთად, აგრეთვე • ამერიკაში. მალე ჯანელიძეს ზემო რაჭაში აღმოაჩინა და შეისწავლა მდიდარი კალციტური ფაუნა, რომელიც მოჰყავა ოქსფორდული ფაუნის აღწერაც. მან შეისწავლა ბაიოსური ნამარხები, ცარცული ინოცერამები და ლოსტრეა. ამონიტები. ალ. ჯანელიძის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს საქართველოს მთელ რიგ გეოლოგიურ ფორმაციათა სტრატიგრაფიის დადგენა და დაზუსტება. თავის მეცნიერულ მუშაობას გამოყენებითი გეოლოგიის დარგში იგი მუდამ მჭიდროდ უკავშირებს სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკას. მან შეისწავლა ტყიბულისა და გელათის საბადოები, გაარკვია იმ ნაპრალთა ბუნება, რომლებთანაც დაკავშირებულია დასავლეთ საქართველოს ბარიტის საბადოები, ჩაატარა ნატახტარის და ბელჩაურის წყაროების ჰიდროგეოლოგიური შესწავლა და სხვ. მისი კონსულტაციებ აშენებულია ან უნდა აშენდეს საქართველოს ყველა დიდი ჰიდროელექტროსადგური. ალ. ჯანელიძე თავგადაკვეთილ ინტერესს იჩენს მთების წარმოშობის თეორიისადმი, დაადგინა მთების მიგრაციის, მათი ტექტონიკური განვითარების თეორია, მოგვცა საქართველოს მაგალითებით დასაბუთებული დანაოკეების დადგენის ახალი მეთოდი. მას ეკუთვნის ახალი თეორიების შექმნა კონტინენტებისა და ოკეანეების წარმოშობის შესახებ, ოროგენული ზოლების ტექტონიკური ბუნების ახლებურად გაშუქება, ამოწვნევის როლის დადგენა ორეული სტრუქტურული ფორმების წარმოშობაში და მრავალი სხვ. ჩვენში არცერთი გეოლოგიური წამოწყება არ ჩატარებულა ისე, რომ მასში აქტიური მონაწილეობა არ მიეღოს ალ. ჯანელიძეს. მეტად ფართო და მრავალმხრივია გამოჩენილი ქართველი გეოლოგის მეცნიერული და კვლევითი მუშაობის სფერო. მაგრამ იგი მარტო მეცნიერი მკვლევარი როდია. იგი არის გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, კადრების აღმზრდელი, მასწავლებელი. 1925 წელს მისი უშუალო მონაწილეობით და ინიციატივით თბილისში დაარსებულ საქართველოს გეოლოგიურ სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტს იგი სათავეში ედგა 30 წლის მანძილზე. 1926 წლიდან ალ. ჯანელიძე მთელი რიგი დიდი სამეცნიერო დაფესებულებების ხელმძღვანელია. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაარსების შემდეგ იგი აკადემიკოსად და ამავე დროს მათემატიკური და საბუნებისმეტყველო განყოფილების თავმჯდომარედ აირჩეს. 1942-1944 წლებში ალ. ჯანელიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი იყო, 1951-1955 წლებში — აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი. ამჟამად იგი კვლავ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკური და საბუნებისმეტყველო განყოფილების თავმჯდომარეა. იგი არის საქართველოს გეოლოგიური საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი და თავმჯდომარე, საქართველოს გეოგრაფიული, საკავშირო პალეონტოლოგიური და საფრანგეთის გეოლოგიური საზოგადოებების წევრი. ალ. ჯანელიძე თავანსაჩინო დამსახურებისთვის დაჯილდოებულია ლენინის ორი ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით, მინიჭებულ აქვს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. იგი საქართველოს სსრ ყველა მოწვეული უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრია. 1942 წლიდან იგი სკკპ წევრია.

ვეუსურვოთ იუბილარს შემდგომი მრავალი წლის ნაყოფიერი მოღვაწეობა საბჭოთა მეცნიერების, მთელი ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ.

ა. ცაგარელი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიური ინსტიტუტის რეგიონული გეოლოგიის განყოფილების გამგე, გეოლოგია-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

საიუბილეო სხდომაზე

გუშინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში შედგა აკადემიკოს ალ. ჯანელიძის დაბადების 70 და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო სხდომა.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ნ. მუსხელიშვილმა. მოხსენებით აკადემიკოს ალ. ჯანელიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ გამოვიდა პროფესორი პ. გამყრელიძე.

იუბილარს მიესალმნენ საქართველოს აზერბაიჯანისა და სომხეთის სამეცნიერო საზოგადოებათა გამოჩენილი წარმომადგენლები, წაკითხულ იქნა იუბილარისადმი მილოცვის დეპეშები, მიღებულ ჩვენი სამშობლოს მრავალი კუთხიდან.

დასასრულ აკადემიკოსი ალ. ჯანელიძე გამოვიდა სიტყვით, რომელშიც გულთბილი მადლობა გადაუხადა პარტიის მთავრობას, ხალხს.

საქართველოს საგჭოთა მწერლების V ყრილობისათვის

ქართული პროზა დღეს

აკაკი გელიაშვილი

უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში დაიბეჭდა და ცალკე წიგნებად გამოიცა ოცდათხუთმეტი ახალი რომანი და დიდი მოთხრობა გამოვიდა ორმოცდათაზე მეტი ახალ მოთხრობათა კრებული, ნარკვევების თოთხმეტი წიგნი, ექვსი მემუარული ხასიათის წიგნი და ამდენივე ალმანახი.

თავისთავად ცხადია, ამ წიგნებიდან ყველა რიდი მოიპოვებს მოდმივ ბინას ქართული ლიტერატურის თარაზე, მაგრამ ერთი მთავარი და უთუოდ დადებითი მოვლენა ის არის, რომ ჩვენში მომრავლდნენ კადრები, რომლებიც შეეჯიდნენ პროზაიკოსის მძიმე ულელს და შეეჯვნენ საწერ მაგიდასთან ხანგრძლივად მუშაობას.

როგორ აისახა ქართულ მწერლობაში თანამედროვეობის თემა, როგორ არის დახატული თანამედროვე ადამიანი? თვალიც უბრალო გადავლებაც საკმარისია იმის დასანახავად, რომ ამ მხრივ საქმე არც ისე ცუდად არის. ჩვენს მწერლობას არ დარჩენია თითქმის არც ერთი მხარე ჩვენი ცხოვრებისა, რომ არ გამოხმაურებოდეს. სულ სხვაა, თუ რამდენი სრულყოფილობით არის ასახული ჩვენი ყოფა, როგორ არის გადაჭრილი მწვავე სოციალური პრობლემები. ამ მხრივ ჩვენს პროზას ჯერ კიდევ მრავალი ხარვეზი მოეპოვება, მაგრამ მისი განვითარების პროცესს, ერთი მეტად სასიხარულო მოვლენა ემჩნევა: ქართულ მწერლობაში მოდის მეტად ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომელიც თამამად იჭრება ცხოვრებაში. წერს აქტუალურ თემებზე და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი ლიტერატურა ახლო ხანში, ამ ახალგაზრდობის დახმარებით, მნიშვნელოვად შეავსებს ხარვეზებს.

სწორედ ამიტომ მინდა დავაჯერეთ ძველი ტრადიცია და ქართული პროზის მიმოხილვა ახალგაზრდობიდან დავიწყო.

რ. ინანიშვილის მოთხრობებმა ხავსებით დამსახურებულად მიიქციეს როგორც ქართველი, ისე რუსი მკითხველის ყურადღება. მისი მოთხრობების მთავარი მოქმედი პირი თანამედროვე ახალგაზრდაა, თუმცა ავტორი არც მოხუცებს ივიწყებს და მათს სულიერ სამყაროშიც თამამად იჭრება. ყოველი მის მოთხრობაში გასაოცარი გრძნობით არის დახატული ადამიანი მისი უსაბეტაკესი ფსიქოლოგიური ნიუანსებით, ნაჩვენებია მისი მღელვარება, სიხარული თუ წუხილი.

ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს რ. ინანიშვილის შემოქმედებას ნაკლოვანებები არ ჰქონდეს. მისი ნაწარმოებების მთავარი ნაკლი, ჩემი აზრით, წვრილმანი თემებით გატაცებაა. ზოგიერთი მისი მოთხრობა სუსტია იდეური თვალსაზრისითაც. ავტორი ხშირად თავისი მეტისმეტად სუბიექტური განწყობილებებს ტყვეობაშია და ვერ ახერხებს ალებული ფაქტის დიდ განზოგადებას. ამიტომ მისი მოთხრობების ერთ ნაწილს ემჩნიერიზმის ელფერი დაჰკრავს.

ახალგაზრდა მწერლებიდან ნაყოფიერად მუშაობს ედიშერ ყიფიანი. მისი მოთხრობები გამოირჩევა სწორი იდეური გაზრებით. უაღრესად ფილიგრანულია დამუშავებით, ორიგინალობით და მრავალფეროვნებით, მან თავისუფალი, ლაღი მეტყველებაც აქვს. ყოველი მისი მოთხრობა ინტერესით იკითხება. ამავე დროს, ამ ახალგაზრდა მწერალსაც აქვს ერთგვარი ნაკლი. ეს არის მისი მოთხრობების სიუჟეტის ზედმეტი ხელოვნურობა. თუ მწერალი ამას თავს დალწევს, ცხადია, მისი შემოქმედება უფრო სრულყოფილი იქნება.

თემგზე გოგოლაძემ თავიდანვე მიიპყრო ჩვენი მკითხველის ყურადღება. უკანასკნელ ხანებში მან გამოაქვეყნა სამი ნაწერი. ამ ნაწერებიდან ორ ბოლო 1957 წელს მოთხრობა „კარგი დღე“. ჩემი აზრით, ეს არ არის საკმარისი, მას შეუძლია და უნდა მუშობდეს უფრო ინტენსიურად.

საკმაოდ დახლართულ და რთულ სიუჟეტზეა აგებული რომანი „სამამული რეა“. ნაწარმოებში ბევრი კარგი ადგილია, მიმზიდველად არის აწერილი ბუნება, კარგად არის დახატული ტიპები და ხასიათები, მაგრამ მას აქვს სუსტი მხარეებიც, განსაკუთრებით კომპოზიციური აზნეულობა. ავტორი ხშირად იწყებს ერთ ამბავს, არ ამთავრებს მას და სხვაზე გადადის. მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა, თუ ავტორი კვლავ გულდასმით იმუშავებს, მისი ახალი რომანი უთუოდ კარგი შენაძენი იქნება ჩვენი მწერლობისათვის.

ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების მოსკოვის დეკადაზე განსაკუთრებული მოწონება ხვდა მწერალი ი. ონიანის მინიატიურებს. ახლახან გამოვიდა ამ მწერლის კრებული სათაურით „როცა ცხოვრებას შეიტკბობ“, რომელშიც მოთავსებულია ოცი ნოველა. ილია ონიანის ნოველებში ნაპერწკლებივით ელავენ ჩვენი თანამედროვე ცხოვრების ცალკეული შტრიხები და ხასასიათი მოვლენები. მაგრამ შესამჩნევია ნაკლიც. ზოგიერთი ნოველის სიუჟეტი მეტისმეტად ნაძალადევია, ხელოვნურობის ელფერი დაჰკრავს. საჭიროა ცხოვრებიდან ალებულ თუნდაც უმნიშვნელო ფაქტს უფრო მეტი განზოგადებითი მნიშვნელობა ჰქონდეს და უფრო მეტი დაკვირვებით იყოს შერჩეული.

თანამედროვეობის თემას ვხვდებით უფროსი თაობის მწერალთა ახალ წიგნებშიც. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს გიორგი ნატროშვილის მოთხრობების კრებული „ისევ გაზაფხული იყო“... ამ მოთხრობების ყოველი სტრიქონი გამსჭვალულია უდიდესი სიყვარულით ადამიანებისადმი, ბუნებისადმი მთებისა და მდინარეებისადმი, რომელნიც ამ ბუნებას ამშვენებენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია მწერლის ბრწყინვალე ქართული და მდიდარი ლექსიკონი, ბუნებრივი, ლაღი, ნამდვილი ქართული.

ბოლო წლებში გამოვიდა ა. ლომაძის მოთხრობების ორი კრებული. ეს მოთხრობები სხვადასხვა ხასიათისაა. ზოგი მათგანი უბრალო ლირიკული ამონაკვნეტებს წარმოადგენს, ზოგი რომანტიკულ მოგონებას. ა. ლომაძე უკვე ავსებით ჩამოყალიბებული მწერალია თავისი წერის მანერით სტილით. მსოფლმხედველობით და მის მოთხრობებში ბევრია კარგი და საყურადღებო.

ალ. ქუთათელის ნაწარმოებთა კრებულში ახლანდელი პერიოდს XXI საუკუნის ერთი საკმაოდ მოზრდილი და ფრიად აქტუალური თემაზე დაწერილი მოთხრობა „ზიმი“. იგი მიძღვნილია აღზრდის პრობლემებისადმი და უთუოდ კარგი და საჭირო მოთხრობაა.

მხატვრულად გამოკვეთილი ტიპები და ხასიათები, ლამაზი პეიზაჟები ხიბლავს მკითხველს ბ. ჩხეიძის ამას წინათ გამოცემულ კრებულში, რომელშიც შეტანილია მოთხრობები: „მშვენიერ გაზაფხულზე“, „ოშორელი ყმაწვილი“, „წიფლის კარავი“, „ნამოსახლარზე“ და „ხოხობის წყაროსთან“.

შეუნელებელი ინტერესით იკითხება ბ. ასათიანის მოთხრობები. მისი თხრობის მანერა მარტივი და ნათელია. მის წიგნში ვერსად ვერ შეხვდებით ბუნდოვან ფრაზას, რითაც ხშირად ვცოდავთ ხოლმე ყოველი ჩვენგანი. თემატურად ამ მწერლის მოთხრობები მრავალფეროვანია. მხოლოდ ცალკეული მისი მოთხრობები, ცოტა არ იყოს, ნარკვევებს მოგვაგონებენ, ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, თითქოს ავტორი შორიდან უყურებდა რაღაც ამბავს, სტენოგრამის სიზუსტით ჩაუწერია და ჩვენ გვაკითხებსო.

გრ. ჩიქოვანმა გამოსცა მოთხრობების ვრცელი კრებული „სიყვარული“. კრებული იხსნება მოთხრობით „ბერძენი“, რომელმაც გამოქვეყნებისთანავე მიიპყრო მკითხველი საზოგადოების ყურადღება. საერთოდ გრ. ჩიქოვანის მოთხრობების გმირები რომანტიკული მრავალფეროვნებით ანიან დახატულნი. მწერალს ეხერხება იდეური გაზრება და მოთხრობის იდეურად დამუხტვაც.

სულ უკანასკნელ ხანში დაიბეჭდა სამი საყურადღებო მოთხრობა. ესენია დემნა შენგელაიას „ვანძი“, ა. სულკაურის „ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფიან“ და რ. ჯაფარიძის „ხმა იდუმალი“.

„ვანძი“ გვიხატავს იმ კოლმეურნის სულიერ დრამას რომელმაც ოქროთი სავსე დერგი იპოვნა. იგი ვერავის ვერ უმხელს, რომ ამდენი ოქროს მფლობელი გახდა, მაგრამ როდესაც სიგიჟემდე მისული ფეხმძიმე ცოლსაც კი არ დანდობს და წიხლს ჩასცემს მუცელში, ამის შემდეგ იწყება მის სულიერ მდგომარეობაში ერთგვარი კათარზისი და იგი ამ ნაპოვნ განძს კოლმეურნეობას აბარებს. მოთხრობა დ. შენგელაიას ჩვეული ოსტატობით აქვს დაწერილი. მაგრამ ამ სიუჟეტში ჩაქსოვილი ფილოსოფიური გაზრება რაღაც ვერ უდგება ქართველი კაცის ხასიათსა და ბუნებას.

მიუხედავად ამისა რომ ა. სულკაურის „ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფიან“ და რ. ჯაფარიძის „ხმა იდუმალი“ ოსტატობით არაა დაწერილი, ეს მოთხრობები მაინც აბსტრაქტულ შთაბეჭდილებას ტოვებენ. ორივე მოთხრობაში ადამიანთა განცდების, მათი ფსიქოლოგიური ვნებათა დილვის უაღრესად ფაქიზად ნახატი სურათებია. მაგრამ ისინი თითქოს მოწყვეტილია ჩვენს სოციალურ გარემოს და ამიტომ მათ ეკარგებათ ღირებულება. ეს ორივე უაღრესად ნიჭიერი მწერალი ღრმად უნდა ჩაუფიქრდეს ამ საკითხს

უკანასკნელ ოთხ წელიწადში რამდენიმე რომანი გამოქვეყნდა, მათ შორის უმრავლესობა თანამედროვეობის თემებს ეხება.

პირველ რიგში აღსანიშნავია კ. გამსახურდიას „ვაზის ყვავილობა“. ამ რომანში მწერალი შეეცადა აესახა ის ძიერეული გარდაქმნა ჩვენს სოფელში, რომელიც ბოლო ათეული წლების მანძილზე ხორციელდება. კ. გამსახურდია ხშირად მომართავს ღრმად განზოგადებულ სახეებს და ალეგორიებით გამოხატავს თავის შეხედულებებს.

როგორც ცნობილია, კარგი შეფასება მიიღო თ. დონეაშვილის რომანმა „ალაზანზე“. ვფიქრობ, რომ იგი ავტორის პირველი წიგნია, რომელიც საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება.

რ. ჯაფარიძემ თავისი რომანის „ქარხანაელის ქვრივის“ თემად ქართველი ქალის ბედი აირჩია. მან გამოაქვეყნა ამ რ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა მწერლების მეხუთე ყრილობისათვის

ახლოს ცხოვრებასთან, ახლოს ხალხთან

ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა კომუნისტური შრომის ბრიგადები, რომლებიც კომუნიზმის პირველი მერცხლები არიან. კომუნისტური შრომის ბრიგადების წევრებს ხშირად ხვდებიან ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლები. შეხვედრების დროს მწერლები მთავარი გმირის — საბჭოთა ადამიანის სულიერ სამყაროს, ამ სურათზეც აღბეჭდილია ქართველი მწერლებისა და თბილისის საწარმოების კომუნისტური შრომის ბრიგადების წევრების ერთ-ერთი შეხვედრა.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

მნათობი

მნიშვნელოვანი მოვლენა

სიმონ ჩიქოვანი,
ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორი

საქართველოს მწერალთა V ყრილობა უაღრესად დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იქნება ქართველ მწერალთა ლიტერატურულ ცხოვრებაში. იგი ეწყობა შვიდწლიდის პირველი წლის დასაწყისში, როდისაც ამ ჯრანდიოზული გეგმის განსახორციელებლად საბჭოთა ხალხი, ახალი შემოქმედებითი შრომით დარაზმული, კომუნიზმის მშენებლობას უახლოვდება.

დიდი საბჭოთა მწერალი მ. გორკი გვასწავლიდა — მხატვრული მწერლობა ადამიანთმცოდნეობა არისო. ჩვენი მწერლობის ამოცანაა მოგვაცეს ღრმა, სრულყოფილი სახეები იმ ადამიანებისა, რომლებიც საბჭოთა სინამდვილეში აღმოცენდნენ და რომელთა მეშვეობით ვითარდება დღევანდელი სოციალისტური საზოგადოება. საქართველოს მწერალთა V ყრილობაზე უმთავრესად ისეთ ლიტერატურულ საკითხებზე უნდა იქნას გამახვილებული ყურადღება, რომელთა განხილვა-დაზუსტება ჩვენს შეუწყობს ხელს ზემოხსენებული ამოცანების სრულყოფილად გადაჭრას.

ჩვენ ვფიქრობთ, ყრილობა განიხილავს ყველა ამ მიღწევასა და ნაკლოვანებას, რომლებიც გამოვლინდა ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში ამ ოთხი წლის განმავლობაში (მეოთხე ყრილობიდან მეხუთამდე), და ამ განხილვის საფუძველზე დასახავს ახალ ამოცანებს და გზებს. რაოა ქართული მწერლობა კიდევ უფრო ღრმად შეიჭრას საბჭოთა სინამდვილეში, რომ შეიქმნას კიდევ უფრო მაღალიდეური და დიდი ოსტატობით შესრულებული მხატვრული ნაწარმოებები.

ჟურნალი „მნათობის“ ფურცლებზე გამოსატულება ჰქონია ამ ოთხი წლის განმავლობაში გამოვლენილმა ლიტერატურული ცხოვრების ძირითადმა პროცესებმა. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში თითქმის ყველა მნიშვნელოვანი პროზაული და პოეტური ნაწარმოები, რაც, ასე ვთქვათ, ამინდს ჰქმნიდა ქართულ მწერლობაში, გამოქვეყნებული იყო ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია კ. გამსახურდიას „დავით ალმაშენებელი“, ს. ჭელიშვილის „მყუდრო სვანეთი“, დ. შენგელაიას „განძი“, რ. ბეჟანიშვილის „სამამულო რეკა“, რ. ჯაფარიძის „ხმა იდუმალი“, ი. სულაკაურის „ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფიან“, ო. დიმიტრაშვილის, დ. სულიაშვილის, ქ. ელესაბედაშვილის, ს. თავაძის მოთხრობები, გ. ლეონიძის, ირ. აბაშიძის, ტ. ტაბიძის, ჯ. გაფრინდაშვილის, ს. შანშიაშვილის, ალ. ჯიმშიაშვილის, ალ. ჭოთათელის, ანა კალანდაძის, მ. მაჭავარიანის, მ. აბულაძის, ლ. სულაბერიძის, თ. ჭილაძის, მ. ქელეშიძის, ო. ჭელიძის, შ. ამისულაშვილის, თ. ჯანჯუღაშვილის ლექსები.



შეიძლება ითქვას, ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნებული პროზაული და პოეტური ნაწარმოებები ერთგვარად ასახავენ ჩვენი მხატვრული ცხოვრების ახალ ეტაპს. ჩვენი მწერლობის მნიშვნელოვანი მიღწევებისა და ცალკეული ნაკლოვანებების ერთგვარი სურათი გამოვლინდა ჟურნალში გამოქვეყნებულ მასალებში. ჟურნალი საკმაოდ დიდ ადგილს უთმობდა უკანასკნელ წლებში ახალგაზრდა ძალების გამოვლინებისა და დაწინაურების საქმეს. მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტი და პროზაიკოსი ჩვენი ჟურნალის მუშტარეობით წარუდგა მკითხველ საზოგადოებას.

ჟურნალმა ამ ხნის განმავლობაში დაახლოებით 150 ახალ წიგნსა და ახალ ნაწარმოებს მისცა შეფასება ლიტერატურულ-კრიტიკული იტუდებისა და რეცენზიების სახით. ამავე დროს ვაქვეყნებდით სტატიებს ლიტერატურის თეორიისა და ლიტერატურული კრიტიკის საკითხებზე.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ლიტერატურულ-კრიტიკული იტუდები ერთგვარ დახმარებას გაუწევს ჩვენს მწერალთა ყრილობას, სადაც ჟურადღება ჩვენი მწერლობის აქტუალურ საკითხებზე იქნება გამახვილებული. ჟურნალმა ზემოთ ჩამოთვლილი თითქმის ყველა მხატვრული ნაწარმოები კრიტიკულად განიხილა და შეეხო ყველა იმ საკითხს, რომელიც ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის წერილში „ხალხის ცხოვრებასთან ლიტერატურისა და ხელოვნების მჭიდრო კავშირისათვის“ იყო დაყენებული და დასაბუთებული. ჟურნალის უკანასკნელ ნომრებში შეიქმნა განყოფილება „განვიხილავთ ახალ ნაწარმოებებს“. ეს არის წინასაყრილობო ტრიბუნა, სადაც განხილული იქნა ჩვენი ლიტერატურის ახალი ნაწარმოებები და აქტუალური საკითხები. ჟურნალის უკანასკნელ ნომრებში ეს განყოფილება განსაკუთრებით თორთოდ არის წარმოდგენილი. ჩვენ გვინდა კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ ეს განყოფილება და ავიკიდინოთ ყველა ის ნაკლოვანება, რომლებიც გვაქვნდა.

ჩვენი ჟურნალი

კონსტანტინე ლორთქიფანიძე,
ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას“ რედაქტორი

„ლიტერატურნაია გრუზიას“ მეექვსე ნომერი მთლიანად საქართველოს მწერალთა V ყრილობისადმია მიძღვნილი.

ნომერში პირველად რუსულ ენაზე იბეჭდება ოტია იოსელიანის, როდამ ჩაჩანიძის მოთხრობები, აგრეთვე ილია რურუას და ბ. ლუცენკოს ახალი პროზაული ნაწარმოებები.

ჟურნალი ამ ნომერშიც აგრძელებს ახალგაზრდა „რუსი კრიტიკოსის იური სუროვცევის ვრცელი წერილის ბეჭდვას. წერილი, რომლის სათაურია „ცხოვრებასთან ახლოს და პოეზიის სიღრმე“, დაწვრილებით განიხილავს ახალგაზრდა მწერალთა შემოქმედებითი აღზრდის საკითხს და, კერძოდ, ახალგაზრდა ქართველი პოეტების ნაწარმოებებს. მათს კავშირს ცხოვრებასთან.

მეექვსე ნომერში იბეჭდება ალეკო შენგელაია, ალექსანდრე გომიაშვილის, ხაჯიმურატ ძუძათის და ევგენი ევტუშენკოს ახალი ლექსები.

ჩვენი ჟურნალი ქართული ლიტერატურის უშუალო პროპაგანდისტია. იგი რუს მკითხველს აცნობს ჩვენს მრავალსაუკუნოვან მწერლობას. ყოველთვის ვცდილობთ მხოლოდ საუკეთესო ნაწარმოებები მივაწოდოთ მას. განსაკუთრებით დიდ ყურადღებას გუთმობთ ქართულ საბჭოთა ლიტერატურას. ამიტომაც ჩვენი ჟურნალის 1959 წლის პირველი ნომრიდან ვბეჭდავთ აკაკი ბელიაშვილის „რუსთაველ“ და კონსტანტინე გამსახურდიას „ეროვნის ყვავილობას“.

ჟურნალი დაბეჭდავს აგრეთვე ბესარიონ ჟღენტის წერილს „თანამედროვე ქართული პროზის საკითხები“.

მაგრამ თვითკრიტიკულად უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენმა ჟურნალმა დღემდე ვერ მოახერხა კრიტიკული განყოფილების სათანადო სიმაღლეზე აყვანა. ჟურნალში ნაკლებად ჩანდა ნარკვევი თანამედროვე თემაზე, ჩვენს ყოველდღიურობაზე, საბჭოთა ადამიანებზე, რომლებიც ქმნიან სამშობლოს დოვლათსა და სიკეთეს. ახალი წლიდან ჩვენ შემოვიღებთ განყოფილებას „ნარკვევი ჩვენს დღეებზე“.

საქართველოს მწერალთა V ყრილობა ახალ ამოცანებს დაუსახავს ჩვენს ჟურნალსაც. ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე უფრო სრულყოფილად უნდა აისახოს გმირი საბჭოთა ადამიანების შრომა და ცხოვრება, უფრო მეტად უნდა გამოჩნდეს მშობლიური კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის დიად გადაწყვეტილებათა განხორციელებით მიღწეული მრავალი უმაგალითო გამარჯვება.

ლირსეული ცვლა

ვახტანგ ჭელიძე,
ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი

ჟურნალ „ცისკრის“ მეთორმეტე ნომერი მიძღვნილია საქართველოს მწერალთა V ყრილობისადმი. ძირითადად ეს ნომერი ეთმობა ახალგაზრდა მწერალთა ამას წინათ მოწყობილი რესპუბლიკური სემინარის მონაწილეებს.

ნომერში იბეჭდება იოსებ ყაჭეიშვილის, მერაბ ელიოზიშვილის და თამაზ ნატროშვილის მოთხრობები, ალაზი ხაიაურის, ნელი გაბრიჩიძის, იბოლიტე შავლოხაშვილის და სხვა დამწყებ მწერალთა ლექსები. საქართველოს მწერალთა V ყრილობა მათ ცხოვრებაშიც უეჭველად დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იქნება.

ჟურნალის წინასაყრილობო ნომერში იბეჭდება აგრეთვე ცნობილი პოეტის გრიგოლ აბაშიძის პრემირებული დრამა ლექსად „ლეგენდა პირველ თბილისელებზე“, ნოდარ ჩხეიძის სტატია ახალგაზრდა პოეტ ანა კალანდაძის შემოქმედებაზე, გურამ გეგეჭკორის წერილი ჩვენი ლიტერატურის აქტუალურ საკითხებზე და სხვა მასალები.

ჟურნალი „ცისკარი“ ამ ორი წლის მანძილზე ყოველთვის სათანადოდ ვერ ართმევდა თავს დაკისრებულ ამოცანებს. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ჟურნალის დადებით მხარეებთან ერთად აღნიშნა მისი ნაკლოვანებანიც. ჟურნალში ნაკლებად იბეჭდებოდა თანამედროვეობის ამსახველი ნაწარმოებები, ნაკლებად ჩანდნენ ჩვენი გმირი ადამიანები, საბჭოთა ახალგაზრდობა.

ამ ბოლო დროს მდგომარეობა შედარებით გაუჯობესდა. ჟურნალი ბეჭდავს საბჭოთა კავშირის გმირის ოთარ ჩიქოვანის საინტერესო ავტობიოგრაფიულ მოთხრობას „ფოლადის ფრთებზე“, რომელშიც ნაჩვენებია ჩვენი ახალგაზრდობის მაღალი მორალი და გმირული სულისკვეთება, აგრეთვე ბორის ჩხეიძის რომანს „მწვანე ზოდბუნი“. გასულ წელს ჟურნალმა გამოაქვეყნა გივი გოგიჩაიშვილის რომანი „პირველი დღეები“. ორივე რომანი ჩვენს დღევანდელობას, ჩვენი ადამიანების მრავალფეროვან ცხოვრებას, მათს შრომითს საჭმიანობას ასახავს, მაგრამ ჩვენ მაინც ვალში ვართ ცხოვრების წინაშე. რედაქციას განზრახული აქვს უფრო ფართოდ დაუთმოს ადგილი თანამედროვე ცხოვრების ამსახველ ლექსებსა და მოთხრობებს, მეტი რაოდენობით გამოაქვეყნოს მაღალმხატვრული ნაწარმოებები, რომლებშიც ღირსეულად იქნება ასახული ჩვენი შრომისმოყვარე ხალხი, ჩვენი შესანიშნავი ახალგაზრდობა, რომელიც თავდადებით იბრძვის შვიდწლიანი გეგმით დასახული გრანდიოზული ამოცანების შესასრულებლად.

საქართველოს მწერალთა V ყრილობის გადაწყვეტილებები დიდ დახმარებას გაუწევს ჟურნალ „ცისკარს“, რომლის უშუალო ვალია აღზარდოს მოწინავე ქართველი საბჭოთა მწერლების ღირსეული ცვლა.

ᲛᲜᲗᲝᲑᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲔᲑᲘ

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲣᲨᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ

ქართული მწერლობა ყოველთვის ქართველ გლეხსა და მიწის მუშას დასტრიალებდა.

დიდი ილიას გმირები ოთარაანთ ქვრივი, პეპია, გაბრო, კაკო და ზაქრო მთელი ქართველი ხალხის ფიქრებს და გრძნობებს გამოხატავდნენ, ათას რამეზე აფიქრებდნენ კაცს — და იმ დღეებისთვის აღანთებდნენ, ჩვენ რომ მოვესწარით.

დღეს ჩვენი ქვეყანა მსოფლიოში განთქმულია თავისი მრეწველობითა და სოფლის მეურნეობით. გმირები ჩვენში ყოველ ნაბიჯზე არიან, მათი რიცხვი უთვალავია. მარტო ჩვენი ჰიათურა რად ღირს თავისი მარგანეცის მადნითა და მაღაროებით...

ამაკე დროს, რამდენი საინტერესო რამ არის თბილისისა და საერთოდ საქართველოს მუშათა ცხოვრებაში. აქ ხომ მწერალი ყოველ ნაბიჯზე წააწყდება საინტერესო თემას, გაეცნობა ღირსშესანიშნავ ადამიანებს, ჩვენს საუკეთესო მუშა ახალგაზრდობას, რომლებიც შრომასთან შეთავსებით, წარმატებით ეუფლებიან უმაღლეს განათლებას, არ ზოგავენ ძალღონეს, რათა თავიანთი პატიოსანი შრომით შეიტანონ წვლილი კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

მაგრამ ქართულ საბჭოთა მწერლობაში დღესდღეობით მაინც სრულყოფილად არ არის ასახული ჩვენი მუშების ცხოვრება და საქმიანობა, მათი ჭირი და ლხინი.

საქართველოს საბჭოთა მწერლების V ყრილობა უეჭველად მიაქცევს ამ საკითხს ყურადღებას.

ამას ვთხოვ მე მწერალთა მეხუთე ყრილობას ყველა ქართველი მუშის სახელით.

ᲢᲠᲘᲤᲝᲜ ᲤᲝᲜᲢᲮᲐᲫᲔ,
სოციალისტური შრომის გმირი, ჰიათურის მარგანეცის ტრესტის სტალინის სახელობის მაღაროს ამწეველი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲔᲑᲘ

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲓᲐᲙᲕᲐᲚ

კოლმეურნეებს შეიძლება ითქვას, ამ უკანასკნელ წლებში ძალიან ბევრი რამ არა გვაქვს სასაყვედურო ქართველ მწერლებთან. ახალ ქართულ მწერლობაში ცოტა როდი დაიწერა სოციალისტური სოფლის დიდი ძვრებისა და აღმავლობის შესახებ, რაც ქართულ სოფელში მოხდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

ქართველი კოლმეურნე ყოველთვის პოულობს დროს თავისი საყვარელი მწერლების ნაწარმოებთა წასაკითხავად. ჩვენი სოფლის სამკითხველოში ხშირად ნახავთ საკოლმეურნეო მინდვრებიდან დაბრუნებულ ახალგაზრდებს, ახალ წიგნებზე რომ მსჯელობენ. რა კარგი იქნებოდა, ქართველი მწერლები ხშირად რომ ჩამოდიოდნენ ხოლმე სოფლად, თუნდაც ჩვენთან, ლესელიძეში. მათ ქართველ მკითხველებთან ერთად შეხვდებოდნენ რუსები, უკრაინელები, სომხები, ესტონელები. მარტო წიგნის კითხვა ხომ არ არის საქმე! ჩვენ გვინდა პირადად ვიცნობდეთ საყვარელ მწერლებს, ვესაუბრებოდეთ მათ და ისინიც ვესაუბრებოდნენ თავიანთი გეგმების შესახებ. მაშინ მათი მოთხრობები, ლექსები უფრო მართალი და საინტერესონი იქნებიან.

ახალი შვიდწლიანი გეგმით ნათელი მომავალი იშლება ჩვენი საკოლმეურნეო სოფლის წინაშე. მწერლებიც ალბათ თავისებურ „შვიდწლიან გეგმას“ შეადგენენ, კვალდაკვალ გაჰყვებიან ცხოვრებას და უფრო სრულყოფილად ასახავენ ჩვენი ქვეყნის შეუნელებელ წინსვლას.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲫᲘᲠᲙᲕᲐᲜᲘᲐ,
ლესელიძის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ თავმჯდომარე.

კომუნიზმის გაზაფხული

რევაზ ასათიანი

ყინულის ქარქაშს იძრობს ვოლგა —
ყველა წყლის დედა,
რომ მის ტალღებში
ზამთრის თვალი გაუჩინარდეს,
ჩვენი სამხრეთის ყვავილოვან
მინდორ-ველს ვხედავ,
ვხედავ შორეულ პოლიუსზე
მირნის ჩირაღდნებს.

ვხედავ ტრაქტორისტს, გუთნისდედას,
მჭედელს და მეხრეს,
ცასავით ვრცელი ციმბირული
მიწა რომ დახნეს,
ვხედავ მამულის თვალშეუდგამ
სივრცეს და ბედლებს,
ურალსა ვხედავ, ვხედავ დონბასს,
მათს ცეცხლს და ქარხნებს.

ვხედავ მეკუნიერს, —
ეს რა დიდი ეპოქა დადგა,
დღეს მტკაცედ მჯერა
პლანეტებზე კაცის გაფრენა,
მე ვხედავ ატომს,
სამშვიდობო შრომაში ჩამდგარს,
მის დიდ სიკეთეს,
მის დიდ სინათლეს დაძრულს აფრებად.

ახალ სიცოცხლედ
მოდის ყველა წელი ახალი,
მიწას გვირგვინად
მზის ნათელი გადახურია.
ლენინის დროშით მომავალი,
ცამდე მაღალი
გაზაფხულია,
კომუნიზმის გაზაფხულია.

თარგმანი თეიმურაზ ჯანგულაშვილისა.

მთამსვლელები

ნოდარ გურეშიძე

ზეცა- უანტელებს ცრის,
ღელავს ღრუბელთა ტალღა,
ზეცა ფანტელებს ცრის
და კლდეებს აჩნევს დამღას;
ჩვენ კი მივიწევთ წინ,
სულ წინ,
სულ წინ და მაღლა.
შემოჯარულან ირგვლივ,
მთები, მთები და მთები,
შემოჯარულან ირგვლივ
გოლიათური მხრებით;
ჩვენ არ გვაშინებს იგი,
თითქოს შეგვესახა ფრთები.
მთაზე ვართ, თოვს თუ წვიმს,
ფიქრი არა გვაქვს დაღლის,
მთაზე ვართ, თოვს თუ წვიმს
ჩვენ მივისწრაფით მაღლით;
ზვავი დაეშვა ძირს,
თითქოს აფეთქდა ნაღმი.
ერთურთს ძმაში არ ვარჩევთ,
ვართ დანდობილი თოკებს,
ერთურთს ძმაში არ გარჩევთ,
ერთნი ვართ რაც არ მოხდეს;
ან ყველა უნდა დარჩეს,
ან ყველა უნდა მოკვდეს.
გულს მწვერვალები სურს,
მათკენ ისწრაფვის მუდამ,
გულს მწვერვალები სურს,
თითქოს გაფრენა უნდა;
არ შეეშინდებით სულ,
იქეხ-იმექოს თუნდაც.
ჩვენ იქ ავდივართ, სადაც
არწივი ფრენას ნატრობს,
ჩვენ იქ ავდივართ, სადაც
ქარი დაშხეის მარტო;
და გვეჩვენება თანაც —
ხელით მისწვდები ᲪᲮᲝᲛᲝᲑᲡ.
ზეცა ფანტელებს ცრის,
ღელავს ღრუბელთა ტალღა,
ზეცა ფანტელებს ცრის,
და კლდეებს აჩნევს დამღას;
ჩვენ კი მივიწევთ წინ,
წინ
და სულ მაღლა,
მაღლა.

ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲒᲔᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲣᲓᲘᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

დღეს, როდესაც ხადაც არის ადამიანი მთავრეზე შედგამს ფეხს, მახსენდება ის დრო, როდესაც ადამიანის ფიქრიც კი ვერ აღწევდა ცამდე; მახსენდება და ყურში ჩამესმის „ცათა მიმართ ტრფობით მზირალი“ ბარათაშვილის სიტყვები:

„ჰე, ცაო, ცაო, ხატება შენი...“

ვისი და რისი მეოხებით მიაღწია ადამიანმა ამ საოცარ წარმატებას?!

რა არის საძირკველი ჩვენი ქვეყნის ასეთი აღმავლობისა?!

— დიდი ოქტომბრის რევოლუციაა!

— ხალხთა ძმობის ძალა!

ეს ხელოვნური პლანეტაც, როგორც ყველაფერი სხვა, რაც საბჭოთა ხალხმა თავისი დაუღალავი შრომით შექმნა — ოქტომბრის მონაპოვარია.

დღეს საბჭოთა მწერალი დგას მაღალი გემოვნების აუდიტორიის წინაშე.

ხალხი, პარტია ჩვენგან მოითხოვენ მაღალმხატვრულ, მაღალ-იდეურ და ღრმაადამიანურ შემოქმედებას.

რას ვაპირებ?!

რა მიზნები მაქვს?!

წინასწარ ლაპარაკი ძნელია იმაზე, თუ რა უნდა გააკეთო! ეს კია, რომ გასაკეთებელი საკმაოდ ბევრია.

მე მიყვარს ადამიანი.

მიყვარს მისი შრომა.

ჩემთვის, და არა მარტო ჩემთვის, ადამიანის გარეშე არ არსებობს ეგზისტენციალური ხელოვნება.

ჩემი უმთავრესი მიზანია შევქმნა ისეთი რამ, რომ მქონდეს ამ სიტყვების თამამად, რიხიანად თქმის უფლება.

ᲛᲣᲮᲠᲐᲜ ᲛᲐᲭᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ.

ᲣᲤᲠᲝ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲒᲣᲚᲘ

საბჭოთა ეპოქა შენების, შექმნის, შემოქმედების ეპოქაა. იმდენი რამ კეთდება ყოველდღე, რომ ძნელია ადამიანი თუნდაც ერთი წუთით გაექცეს კითხვას: „რა გაკეთე შენ“?

რა გაკეთე შენ? — ვეკითხები საკუთარ თავს და როგორღაც მრცხვენია ასეთი პასუხისა: „დავწერე პატარა მოთხრობები, ვამზადებ პატარა წიგნს“. ვგრძნობ, რომ უფრო დიდი, უფრო ფართო, უფრო ამაღლებული რამის გაკეთებაა საჭირო.

საქართველოს მწერალთა მეხუთე ყრილობის დამთავრების შემდეგ ვაპირებ ხანგრძლივ სამუშაოზე წასვლას ჩვენი რესპუბლიკის მნიშვნელოვან სამრეწველო უბნებზე. ვფიქრობ — ეს დაეხმარება საფუძვლად ჩემს მომავალ მუშაობას 1959 წელს. შევეცდები რაც შეიძლება სრულყოფილად ავსახო ჩვენი ადამიანები, ჩვენი ძლიერი შემოქმედებითი ენთუზიაზმით აღსავსე ადამიანები, ჩემი საყვარელი, საამაყო მეგობრები.

ᲠᲔᲕᲐᲖ ᲘᲜᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘᲨᲕᲘᲚᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ

ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ლენინური მეგობრობის განმტკიცების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურების ურთიერთ თარგმნას. ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების თარგმნა ამდიდრებს ჩვენს სულიერ სამყაროს, ხელს უწყობს იმ მხატვრულ ღირებულებათა პოპულარიზაციას, რომლებსაც ეს ხალხები ქმნიან. ამიტომ მთარგმნელობითს საქმეს უდიდესი პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი და კულტურული მნიშვნელობა აქვს.

ჩვენში ყოველწლიურად გამოდის მრავალი მხატვრული ნაწარმოები თარგმნილი როგორც რუსულიდან, ისე საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებიდან. ასევე ინტენსიური მუშაობა წარმოებს დასავლეთ ევროპის კლასიკური ლიტერატურა, სოციალისტური ლიტერატურა, სოციალისტური ქვეყნების პროგრესული მწერლებისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მხატვრული ლიტერატურის ნიმუშების თარგმნის საქმეში. აქვე უნდა ითქვას, რომ დღესდღეობით არ მოიპოვება არც ერთი ასეთი ან ისე ცნობილი ქართველი მწერალი, როგორც კლასიკოსი, ისე თანამედროვე, რომელთა ნაწარმოებები არ იყოს თარგმნილი რუსულ ენაზე.

ყველასათვის ცნობილია, თუ რა წარმატებით ჩაიარა შარშან ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადამ მოსკოვში. ქართული ლიტერატურისა და საერთოდ კულტურის ავტორიტეტი მეტად გაიზარდა, ქართულმა ლიტერატურამ ფართო აღიარება ჰპოვა მოძმე ხალხების მკითხველთა შორის. ჩვენი მწერლობის გამარჯვებაში დეკადაზე, ცხადია, დიდი როლი შეასრულეს მთარგმნელებმა, გამომცემლობებმა, რედაქტორებმა. მოსკოვში გამოიცა ქართული პოეზიის ანთოლოგია, ქართული ნოველებისა და მოთხრობების კრებული, ახალგაზრდა პოეტების კრებული „საქართველოს გაზაფხული“, გ. ტაბიძის, კ. გამსახურდიას, ლ. ქიაჩელის, შ. დადიანის, გ. ლეონიძის, ი. აბაშიძის, ს. ჩიქოვანის, ა. მირცხულავას, ი. გრიშაშვილის, კ. ლორთქიფანიძის, ა. ბელიაშვილის, ა. ჭოთათელის, ი. ნონეშვილის, რ. მარგიანის, ხ. ბერულავას, მ. მაჭავარიანის, გ. შატბერაშვილის, გ. ჩიქოვანის და სხვათა ნაწარმოებები. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამომცემლობა „ზარია ვოსტოკამ“ გამოსცა რუსულად თარგმნილი მრავალი ქართველი პოეტის, პროზაიკოსის, დრამატურგისა და კრიტიკოსის წიგნი.

ფართო ხასიათი მიიღო ქართული მხატვრული ლიტერატურის რუსულ ენაზე თარგმნის საქმემ. ფასდაუდებელი შრომა გასწიეს ქართული კულტურის დიდ საკავშირო ასპარეზზე გატანისათვის როგორც ქართველმა, ისე რუსმა მწერლებმა: ნ. ტიხონოვმა, ნ. ზაბოლოცკიმ, ვ. დერჟავინმა, მ. ლუკონინმა, ე. ევტუშენკომ, ა. მეძეროვმა, პ. ანტოკოლსკიმ, ნ. გრებნევმა, ე. ანნინაშვილმა, ე. ოღობერიძემ, ნ. ჩხეიძემ, ფ. თვალთვაძემ, ნ. ჟკერმანმა და სხვ. მათ დიდი შემოქმედებითი ენერგია მოანდომეს იმას, რათა ქართული მხატვრული სიტყვა გაეცნოთ რუსი მკითხველებისათვის.

თუ რა პოპულარობითა და სიყვარულით სარგებლობს ქართული ლიტერატურა მოძმე ხალხების მკითხველთა შორის, ამაზე მეტყველებს გამოცემული წიგნების ტირაჟები და ის ცხოველი გამოძახილი, რაც გამომცემლობებს საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან მოსდის.

უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე მწერალთა კავშირის მთარგმნელთა სექციამ განიხილა მთელი რიგი ნაწარმოებების რუსული ენიდან ქართულად თარგმნის ხარისხის საკითხები, მათ შორის, ა. ტვარდოვსკის „ვასილ ტიორკინი“ (მთარგმნელი ო. ჭელიძე), თ. დოსტოევსკის „საწყალი ადამიანები“ (მთარგმნელი მ. ბაკურაძე), ლ. ტოლსტოის „ანა კარენინა“ (მთარგმნელები ლ. ტიტვინიძე და თ. საყვარელიძე), მ. შოლოხოვის „წყნარი დონი“ (მთარგმნელი თ. ჯავახიშვილი), ვ. სტეფანიკის რჩეული მოთხრობები (მთარგმნელი ვლ. თორდუა), გ. სეგუნცის „თეირანი“ (მთარგმნელი გ. კარბელაშვილი) და სხვა.

უკანასკნელ ხანს ჩვენში საგრძნობლად გადიდდა რუსული ენიდან და საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებიდან, აგრეთვე უცხო ენებიდან თარგმნილი მხატვრული ლიტერატურის გამოცემა, რაც ხელს უწყობს ჩვენი ხალხის სულიერი კულტურის გამდიდრებას, ხალხთა დაახლოებას და დიდი იდეურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

მაგრამ თარგმნილი მხატვრული ლიტერატურის გამოცემაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი და ხარვეზები, ჩვენი გამომცემლობანი უხეშ შეცდომებს უშვებენ თარგმნილი ლიტერატურის გამოცემა-დაგეგმვაში. ხშირად გეგმები დგება მოუფიქრებლად, ნაწარმოებთა მხატვრულ-იდეური ღირსების გაუთვალისწინებლად.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული თარგმნილი მხატვრული ლიტერატურის კრიტიკა და რეცენზირება პერიოდულ პრესაში.

საქმე როა გამომცემლობებმა შემოიკრიბონ პროფესიონალ თარგმნელთა კადრები და ფართოდ ჩაებან თარგმნის საქმეში მწერლებიც.

მხატვრული ლიტერატურის თარგმნა დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმეა და მას მეტი გულისყურით უნდა მოვეკიდოთ.

ᲨᲐᲚᲕᲐ ᲐᲤᲮᲐᲘᲫᲔ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველი მხრიდან

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის საარჩევნო ტაქტიკა

დალესი კვლავ იცავს და ამართლებს „ძალის პოზიციის“ პოლიტიკას

კუბაში მეტი თავისუფლებაა, ვიდრე შეერთებულ შტატებში

ა. ი. მიქოიანი ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 16 იანვარი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ დილით ა. ი. მიქოიანმა მიიღო „ამერიკის სომეხთა პროგრესული ლიგის“ დელეგაცია, რომელმაც ზრდილობის ვიზიტი გაუკეთა მას. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ამ ლიგის გენერალური მდივანი ო. სარიანი, პროგრესული ამერიკული გაზეთის „ლრაპერის“ რედაქტორი მარტენცი და სხვები.

შემდეგ ა. ი. მიქოიანი ინახულა ნიუ-იორკის ტატის ყოფილმა გუბერნატორმა ა. პარიმანმა, რომელთანაც ა. ი. მიქოიანი წინა დღით სტუმრად იყო.

უფრო გვიან ა. ი. მიქოიანმა ორი საათი დაჰყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ესაუბრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს დ. ჰამარშელდს და მასთან ერთად შემოიარა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასამბლეისა და კომიტეტების კონფერენცდარბაზები.

ამის შემდეგ გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელზეც ა. ი. მიქოიანმა უპასუხა ამერიკელი და უცხოელი ჟურნალისტების მრავალ კითხვაზე.

უპასუხა რა კითხვაზე კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი გამოყენების კომიტეტში მონაწილეობისადმი საბჭოთა კავშირიდან დამოკიდებულების შესახებ, ა. ი. მიქოიანმა თქვა:

ჩვენ იმის მომხრე ვართ, რომ გამოვძებნოთ დადებითი გადაწყვეტილება და დაეხმარებით არ დავიცვათ ჩვენი აზრი, როგორც სხვა პარტნიორებს არ შეუძლიათ დაგვეთანხმონ. უნდა ვეძიოთ ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც ასე თუ ისე შეეფერება ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესებს. საბჭოთა წარმომადგენლები შეიკავეთ ბევრი პოზიტიური წინადადება საერთაშორისო დაძაბულობის შესერების სასარგებლოდ, მშვიდობის სასარგებლოდ. და შეიძლება მხოლოდ მწუხარება გამოვთქვათ, რომ პასუხად მათ ხშირად ესმით „არა“. რაც შეეხება კოსმოსის შესწავლას, ის, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მოხდა, მეტად საწყენი ფაქტია. თქვენ იცით, რომ კოსმოსის შესწავლა დარგი ჩვენმა ქვეყანამ უდიდეს წარმატებას მიაღწია. საბჭოთა კავშირს სურს, რომ მეცნიერული შუამავლობა ხაყოფი მთელი კაცობრიობის კეთილისა იყოს, და სურს ამ საქმეში ითანამშრომლოს გაერთიანებულ ერებთან. ამ წარმატების გამო ჩვენი მონაწილეობა მეტად სასარგებლო იქნებოდა. მაგრამ როცა ამ საკითხზე კომიტეტს ქმნიდნენ, ბატონობდა დიქტატის სულისკვეთება, სამხედრო ბლოკების სულისკვეთება და იყო ცდა საბჭოთა კავშირი და სოციალისტური ქვეყნები დაქვემდებარებულ მდგომარეობაში ჩაეყენებინათ. ეს კომიტეტი, როგორც მიამბეს, გარკვეულ სახელმწიფოთა დაეინებით, ასეთი შემადგენლობით შეიქმნა: 18 წევრიდან 12 წევრი იყო სამხედრო ბლოკების — ნატოს, სეატოსა და სხვების მონაწილე, ე. ი. ადამიანები, რომლებიც ლაპარაკობენ და ხმას აძლევენ ამ ბლოკების ბრძანებით. ნეიტრალურ ქვეყნებს, რომლებიც ბლოკებში არ შედიან, აქვთ მხოლოდ სამი ადგილი, სოციალისტურ ქვეყნებსაც მარტო სამი ადგილი მიეცათ. თქვენ გესმით, რომ ეს პირდაპირ დაცინცვა სამართლიანობისადმი და კოსმოსის შესწავლის ამოცანისადმი.

კენჭისყრას ამ კომიტეტში დიდი მნიშვნელობა არ უნდა ექნეს იმიტომ, რომ ხელის აწევა ჯერ არასოდეს არ ყოფილა მეცნიერული მუშაობა. როგორც ჩანს, მექანიკური კენჭისყრის მოყვარულებმა მოისურვეს ამ კომიტეტშიც ჰქონოდათ მორჩილი მანქანა, რომ საბჭოთა კავშირი და სოციალისტური ქვეყნები უმცირესობაში დაეტოვებინათ. რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ დავეთანხმებოდით კომიტეტის ასეთ შემადგენლობას, და მონაწილეობას არ ვიღებთ ამ კომიტეტში. მე მგონია, ყველა მიხვდება, რომ ჩვენ სხვანაირად ვერ მოვიქცეოდით.

პასუხად თხოვნაზე — გამოეთქვა თავისი აზრი ალეირელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაზე, მიქოიანმა განაცხადა: ჩვენი პოზიცია ყველაზათვის ცხობილია. ალეირელი ხალხი სამართლიან ომს ეწევა დამოუკიდებლობისათვის, კოლონიური ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის. მე მგონია, რომ ყველა უნდა უთანაგრძნობდეს ალეირელებს. ალეირის დროებითი მთავრობა გამოხატავს თავისი ხალხის მისწრაფებას.

გაერთიანებულ ერებს, უსათუოდ, შეუძლიათ შეასრულონ დიდი როლი, მოახდინონ რა ზეგავლენა იმ სულისკვეთებით, რომ ამ ჩრდილოეთ აფრიკის ერმა, რომელიც დამოუკიდებლობას ესწრაფვის, მოიპოვოს იგი.

უპასუხა რა ინდოელი ჟურნალისტის თხოვნაზე—კომენტარი გაეკეთებინა ზოგიერთი ამერიკელი პესიმისტის აზრისათვის ომის „გარდუვალობის“ შესახებ, ა. ი. მიქოიანმა თქვა: მე დიდი ოპტიმისტი ვარ. მგონია, რომ კაცობრიობა არ დაიღუპება. და თუ ჩვენ ყველანი ამას ვეცდებით, მშვიდობა იქნება. რა თქმა უნდა, ომის საფრთხე მეტად სერიოზულია. მიმდინარეობს გამალებული შეიარაღება, ცივი ომი, რომელიც ყოველთვის შეიძლება გადაიქცეს ცხელ ომად. ამიტომ უნდა დავიწყოთ ცივი ომის ლიკვიდაციით და კაცობრიობისათვის ცხობილი მთელი ღონისძიებებით მივაღწიოთ ერთმანეთისადმი სრული ნდობის ატმოსფეროს და თუ სრულ ნდობას ვერა, თუნდაც ისეთს, რომელიც უზრუნველყოფს მშვიდობიან თანაარსებობას. უთანხმობა შეიძლება იყოს, და ეს ბუნებრივია. უთანხმოება შეიძლება იყოს ხალხთა შორისაც და ყოველ ხალხშიც. მაგრამ საშიშია ორი უთანხმოების არსებობა. საშიშია, როცა უთანხმოების გადაჭრას ცდილობენ ძალზე დაყრდნობით და სხვისათვის თავისი ნების თავსმოხვევას, ნაცვლად იმისა, რომ ეძიონ მისაღები საფუძველი, რომელიც ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესებს ითვალისწინებს.

ჩვენ მოვითხოვთ და ვმოქმედებთ ისე, რომ უზრუნველვყოთ ნამდვილი თანაარსებობა და არ დავუშვათ, რომ ომის საფრთხე გაიზარდოს. ჩვენ ვხედავთ ბევრ სიძნელეს, დაბრკოლებას, წინააღმდეგობას, მაგრამ იარაღს არ დავყრით და ვიბრძოლებთ ამისათვის მთელი ჩვენი ძალებით.

თხოვნაზე — შეეფასებინა ატომის გამოცდის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიღწევის პერსპექტივები, ა. ი. მიქოიანმა უპასუხა: არსებითად ეს არის საკითხი, რომელიც მზად არის გადასაჭრელად. მისი გადაჭრა დიდი ნაბიჯი იქნებოდა წინ. წინათ ამბობდნენ, რომ კონტროლი შეუძლებელია და რომ საბჭოთა კავშირი თითქოს კონტროლის წინააღმდეგია, ხოლო უკონტროლოდ არ შეიძლება გამოცდის შეწყვეტა. მაგრამ, როცა ჩვენი და ამერიკელი მეცნიერები შარშან ზაფხულში ჟენევაში შეიკრიბნენ, მივიდნენ დასკვნამდე, რომ არსებული აპარატური იძლევა შესაძლებლობას შორიდან გამოვკარკვიოთ ყოველი ატომის აფეთქება. და ეს ცნობილია, ბატონებო. ჩვენ ხელსაწყოების დახმარებით, რომლებიც ჩვენს ტერიტორიაზეა, აღვნიშნავთ ხოლმე შეერთებული შტატების ყველა ატომის აფეთქებას. ამერიკის პრესის ცნობებისა და ამერიკის სახელმწიფო მოღვაწეთა განცხადების მიხედვით, ისინიც აღნიშნავენ ხოლმე ჩვენს აფეთქებას. ხოლო თუ ამასთან ერთად ამ აპარატურის განვითარებული ქსელი იქნა სხვადასხვა ტერიტორიაზე, მაშინ, უეჭველია, შეიძლება სავსებით უზრუნველვყოთ კონტროლი აფეთქებისადმი.

ამის შემდეგ გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელზეც ა. ი. მიქოიანმა უპასუხა ამერიკელი და უცხოელი ჟურნალისტების მრავალ კითხვაზე.

უპასუხა რა კითხვაზე კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი გამოყენების კომიტეტში მონაწილეობისადმი საბჭოთა კავშირიდან დამოკიდებულების შესახებ, ა. ი. მიქოიანმა თქვა:

ჩვენ ომის მომხრე ვართ, რომ გამოვძებნოთ დადებითი გადაწყვეტილება და დაეხმარებით არ დავიცვათ ჩვენი აზრი, როგორც სხვა პარტნიორებს არ შეუძლიათ დაგვეთანხმონ. უნდა ვეძიოთ ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც ასე თუ ისე შეეფერება ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესებს. საბჭოთა წარმომადგენლებს შეეკავთ ბევრი პოზიტიური წინადადება საერთაშორისო დაძაბულობის შესერების სასარგებლოდ, მშვიდობის სასარგებლოდ. და შეიძლება მხოლოდ მწუხარება გამოვთქვათ, რომ პასუხად მათ ხშირად ესმით „არა“. რაც შეეხება კოსმოსის შესწავლას, ის, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მოხდა, მეტად საწყენი ფაქტია. თქვენ იცით, რომ კოსმოსის შესწავლა დარგი ჩვენმა ქვეყანამ უდიდეს წარმატებას მიაღწია. საბჭოთა კავშირს სურს, რომ მეცნიერული შუამავლობა ხაყოფი მთელი კაცობრიობის კეთილისა იყოს, და სურს ამ საქმეში ითანამშრომლოს გაერთიანებულ ერებთან. ამ წარმატების გამო ჩვენი მონაწილეობა მეტად სასარგებლო იქნებოდა. მაგრამ როცა ამ საკითხზე კომიტეტს ქმნიდნენ, ბატონობდა დიქტატის სულისკვეთება, სამხედრო ბლოკების სულისკვეთება და იყო ცდა საბჭოთა კავშირი და სოციალისტური ქვეყნები დაქვემდებარებულ მდგომარეობაში ჩაეყენებინათ. ეს კომიტეტი, როგორც მიამბეს, გარკვეულ სახელმწიფოთა დაეინებით, ასეთი შემადგენლობით შეიქმნა: 18 წევრიდან 12 წევრი იყო სამხედრო ბლოკების — ნატოს, სეატოსა და სხვების მონაწილე, ე. ი. ადამიანები, რომლებიც ლაპარაკობენ და ხმას აძლევენ ამ ბლოკების ბრძანებით. ნეიტრალურ ქვეყნებს, რომლებიც ბლოკებში არ შედიან, აქვთ მხოლოდ სამი ადგილი, სოციალისტურ ქვეყნებსაც მარტო სამი ადგილი მიეცათ. თქვენ გესმით, რომ ეს პირდაპირ დაცინცვა სამართლიანობისადმი და კოსმოსის შესწავლის ამოცანისადმი.

კენჭისყრას ამ კომიტეტში დიდი მნიშვნელობა არ უნდა ექნეს იმიტომ, რომ ხელის აწევა ჯერ არასოდეს არ ყოფილა მეცნიერული მუშაობა. როგორც ჩანს, მექანიკური კენჭისყრის მოყვარულებმა მოისურვეს ამ კომიტეტშიც ჰქონოდათ მორჩილი მანქანა, რომ საბჭოთა კავშირი და სოციალისტური ქვეყნები უმცირესობაში დაეტოვებინათ. რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ დავეთანხმებოდით კომიტეტის ასეთ შემადგენლობას, და მონაწილეობას არ ვიღებთ ამ კომიტეტში. მე მგონია, ყველა მიხვდება, რომ ჩვენ სხვანაირად ვერ მოვიქცეოდით.

ა. ი. მიქოიანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სსრ კავშირის ეკონომიური განვითარების გეგმები არაფითარ საფრთხეს არ წარმოადგენენ სხვა ხალხებისათვის. ჩვენ გვინდა ვიცხოვროთ უკეთ, თქვა მან. და გსურთ თუ არა ეს, ჩვენ სულერთია კარგად ვიცხოვრებთ, ამიტომ მოდით შევეჯიბროთ ერთმანეთს. მე ვფიქრობ, რომ ჩვენი წარმატება ჩვენი ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებაში სამსახურს გაუწევს კაპიტალისტური ქვეყნების ხალხთა მასებისაც. თუ ჩვენში ცხოვრება სწრაფად გაუმჯობესდა, როგორც ამჟამად უმჯობესდება, მუშები სხვა ქვეყნებში დაინახავენ, რა ხდება. ხოლო კაპიტალისტები, თავიანთ ქვეყნებში რომ ძალაუფლება არ დაკარგოს, უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევენ მუშებსა და მათს მოთხოვნებს. ამრიგად, არაპირდაპირ ჩვენ დახმარებას გავუწევთ ცხოვრების დონის ამაღლებას კაპიტალისტურ ქვეყნებში. ეს ერთვითი ცხოვრ როდია.

დასასრულ გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებული კორესპონდენტთა ასოციაციის პრეზიდენტმა პ. ფრედერიკმა ყველა მეკრებილი ჟურნალისტის სახელით ჰაღლობა გადაუხადა ა. ი. მიქოიანს დაწვრილებითი პასუხისათვის.

დღის მეორე ნახევარში ა. ი. მიქოიანი გამოვიდა საგარეო ურთიერთობის საკითხთა საბჭოს წევრების კრებაზე. ამ კრებას, რომელიც დახურული იყო ჟურნალისტებისათვის, დაესწრო ამერიკის საზოგადოებრიობის 500-ზე მეტი წარმომადგენელი.

გუშინ გვიან საღამოს ა. ი. მიქოიანი და მისი თანმხლები პირები მატარებლით გაემგზავრნენ ვაშინგტონს.

ვაშინგტონი, 16 იანვარი. (საკდესი). დღეს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ა. ი. მიქოიანის საუბარი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანთან ჯ. ფ. დალესთან.

ვაშინგტონი, 16 იანვარი. (საკდესი). სახელმწიფო მდივან დალესთან საუბრის შემდეგ, რომაც ორნახევარ საათზე მეტ ხანს გასტანა, ა. ი. მიქოიანმა დალესს მისაღებ ოთახში შეკრებილ მრავალ კორესპონდენტს განუცხადა, რომ საუბრის დროს განიხილეს საკითხები, რომლებიც ინტერესს წარმოადგენენ ორივე ქვეყნისათვის. საუბარი განგრძობილ იქნება დღის 4 საათზე ადგილობრივი დროით (24 საათზე მოსკოვის დროით).

სახელმწიფო დეპარტამენტიდან ა. ი. მიქოიანი და მისი თანმხლები პირები ავტომობილებით გაემართნენ კაპიტოლიუმში, სადაც იყვნენ საუზმეზე, რომელიც ა. ი. მიქოიანის პატივსაცემად გამართა სენატის სგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ სენატორმა გრინმა.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის განცხადება

ვაშინგტონი, 15 იანვარი. (საკდესი). 14 იანვარს სენატის საგარეო საქმეთა კომისია შეუდგა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის „ყოველმხრივ კვლევას“, რომელიც ფართოდ იყო რეკლამირებული ამერიკის პრესაში. კომისიაში როგორც „მოწმენი“ ჩვენების მისაცემად გამოძახებული არიან ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი დალესი, თავდაცვის მინისტრი მაკელროი, სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ეკონომიურ საკითხებში დიოლონი, დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს ხელმძღვანელი ალენ დალესი და ამერიკის სხვა დიდი თანამდებობის ოფიციალური პირები.

სახელმწიფო დეპარტამენტმა გაავრცელა ტექსტი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის დალესის განცხადებისა, რომელიც მან კაკეთა კომისიის 14 იანვრის დახურულ სხდომაზე. ეს განცხადება განმსჭვალულია ერთი მისწრაფებით — დაიცვან და გაამართლონ უბადალებული „ძალის პოზიციის“ პოლიტიკა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები ახორციელებენ და რომელიც სულ უფრო ფართო პროტესტს იწვევს არა მარტო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, არამედ თვით შეერთებულ შტატებშიც. აღიარა რა, რომ ამჟამად „მთელი მსოფლიო უფრო სწრაფად იცვლება, ვიდრე ოდესმე წინათ“, სახელმწიფო მდივანმა ამავე დროს აშკარად განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა, რომელიც არსებითად უცვლელი რჩება, მიზნად ისახავს ეს ცვლილებანი შეუგუოს ამერიკის შეერთებული შტატების საკუთარ ინტერესებს. დალესი მიმართავს თავის ამოჩემებულ ხერხს — აშინებს ამერიკის შეერთებული შტატების პარტნიორებს აგრესიული ბლოკებში საფრთხით „საერთაშორისო კომუნიზმის“ მხრივ, ამასთან დალესი მოუწოდებს მათ კვლავ გაიღონ მსხვერპლი დასავლეთის სახელმწიფოთა მეტი „ერთიანობის“ მიღწევისათვის. ჩვენ, შესაძლოა, ისეთი პერიოდი დაგვიდგეს, — აცხადებს სახელმწიფო მდივანი, — რომელიც უფრო ძნელიც კი იქნება, ვიდრე არის ის, რომელსაც შევეჩვეთ. დროისაგან რომ საოგებლობა მივიღოთ, უნდა დავიცვათ ჩვენი კურსი. ჩვენ დაგვჭირდება ერის ნებისყოფა, რათა მტკიცედ შევხვდეთ აგრესიულ მუქარასა და ზონდაჟს საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ბლოკის მხრივ. ჩვენ დაგვჭირდება იმ არაჩვეულებრივი მსხვერპლის გაღება, რომელიც, შესაძლოა, აუცილებელი იქნეს“.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის აშკარა მოწოდება — განაგრძონ „ძალის პოზიციის“ პოლიტიკა, მისი გამოხდომები სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ აჭარწყლებენ მის გამოსვლაში ნათქვამს იმის შესახებ, რომ „საჭიროა შეწყდეს ძალის ან ძალით დამუქრების გამოყენება“ და ხელი შეეწყოს სუსტად განვითარებული ქვეყნების პროგრესს და სხვ. როგორც ჩანს სახელმწიფო მდივნის გამოსვლიდან, შეერთებული შტატების მმართველ წრეებს განზრახული აქვთ ანგარიში არ გაუწიონ რეალურ ფაქტებს და განაგრძონ ცივი ომისა და გამალებული შეიარაღების პოლიტიკა.

ფრანგი კომუნისტების გადაწყვეტილება

პარიზი, 14 იანვარი. (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის პლენუმზე მიიღო რეზოლუცია მუნიციპალურ არჩევნებში საარჩევნო ტაქტიკის შესახებ. რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ „საფრანგეთის კომუნისტური პარტია თავის საარჩევნო ტაქტიკას საფუძვლად უდებს იმას, რომ საჭიროა ყველაფერი გააკეთოს, რათა გზა გადაეღობოს რეაქციისა და ფაშიზმის წარმომადგენლებს და რათა მუნიციპალიტეტები გადაქცეს რესპუბლიკის დაცვის ციტადელად.

იმ დასახლებულ პუნქტებში, სადაც არჩევნები მოეწყობა კენჭისყრის პროპორციული სისტემის საფუძველზე, პარტია წამოაყენებს საკუთარ სიებს. ასეთივე სიები იქნება წამოყენებული იმ დასახლებულ პუნქტებში, სადაც არჩევნები მოეწყობა მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე ორ ტურად კენჭისყრით და სადაც კომპარტიას უპირატესი გავლენა აქვს. პარტიას საჭიროდ მიაჩნია შეადგინოს აქ მეორე ტურის წინ გაერთიანებული სიები სხვა რესპუბლიკურ პარტიებთან ერთად.

დანარჩენ დასახლებულ პუნქტებში კომუნისტებს საჭიროდ მიაჩნიათ უკვე პირველ ტურში წამოაყენონ რესპუბლიკური ერთიანობის სიები, რათა მიაღწიონ რეაქციის იზოლირებას და დამარცხონ იგი.

ფინეთის პარლამენტში

ჰელსინკი, 14 იანვარი. (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ პარლამენტის თავმჯდომარე ვ. ი. სუქსელაინენი ახალშექმნილი მთავრობის პრემიერ-მინისტრად დაინიშნა, დღეს გაიმართა პარლამენტის ახალი თავმჯდომარის არჩევნები. პარლამენტის თავმჯდომარედ არჩეულია სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი კ.-ა. ფაგერჰოლმი.

ინგლისის რაკეტული იარაღი დასავლეთ გერმანიაში

ბონი, 15 იანვარი. (საკდესი). როგორც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო იუწყება, უახლოეს დროში დასავლეთ გერმანიაში განლაგებულ იქნება ინგლისის ჯარის ნაწილი, რომელიც აღჭურვილია „კორპორალის“ ტიპის რაკეტებით. ამ რაკეტების გამოყენება შეიძლება როგორც ჩვეულებრივი, ისე ავტომატური მუხტით. დანადგარები რაკეტების გასაშვებად მოეწყობა დორტმუნდის რაიონში (რურის ოლქი).

დონალდ კუორლსის განცხადება

ლონდონი, 16 იანვარი. (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი პაიგიდან იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის მოადგილემ დონალდ კუორლსმა, რომელიც იქ იმყოფება, განაცხადა, რომ ამერიკის მთავრობას განზრახული აქვს რესურსები მართული ყუმბარების წარმოებისათვის შეერთებულ შტატებიდან გადაიტანოს ევროპაში.

ამერიკული რაკეტა „ატლასის“ მარცხი

ვაშინგტონი, 16 იანვარი. (საკდესი). როგორც საინფორმაციო საგენტოები იუწყებიან, გუშინ კანავერალის კონცხის (ფლორიდის შტატი) საცდელ პოლიგონზე სცადეს რაკეტა „ატლასის“ გაშვება 6.000 მილ დისტანციაზე.

მალე გაშვების შემდეგ, სასტარტო მოედნიდან დაახლოებით 300 მილ მანძილზე, რაკეტა ნაწილ ნაწილ დაიშალა.

უცხოეთის ქრონიკა

◆ **კაირო.** პრეს-კონფერენციაზე, რომელიც დღეს აქ გაიმართა, რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკის პრეზიდენტმა იუჯინ ბლეკმა გამოაცხადა, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და ინგლისის მთავრობებს შორის მიღწეულია შეთანხმება გადაუჭრელი ფინანსური საკითხების მოწესრიგების შესახებ.

◆ **ფხენიანი.** კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობით, სახელმწიფო და კოოპერაციულმა მრეწველობამ 117 პროცენტით შეასრულა პროდუქციის გამოშვების 1958 წლის სახელმწიფო გეგმა. წელს. აღნიშნულია ცნობაში, მრეწველობის პროდუქცია გამოშვებულია 40 პროცენტით მეტი, ვიდრე 1957 წელს, ერთიოროად მეტი, ვიდრე 1956 წელს და ერთიოოთხად მეტი, ვიდრე 1949 წელს

ეროვნული შემოსავალი წინა წელთან შედარებით დაახლოებით 30 პროცენტით გადიდდა. მუშათა და მოხამსახურეთა რეალური ხელფასი გადიდდა 13 პროცენტით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა გლეხთა რეალური შემოსავალი.

◆ **ნიუ-იორკი.** ახლოიეტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტის ცნობით, სატევა წარმოთქვა რა გუშინ ჰავანაში, კუბის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა დოქტორმა ფიდელ კასტრომ დაგმო ამერიკული პროპაგანდის ფარისევლური გოდება, რომელიც ნიანგის ცრემლებს ღვრის კუბას ყოფილ დიქტატორის ბატისტას მომხრე დამნაშავეთა დასჯის გამო.

შემდეგ კასტრომ თქვა: „ჩვენ უფრო დემოკრატიული ვართ. ვიდრე ეიზენჰაუერი. ჩვენ უფრო დემოკრატიული ვართ, ვიდრე ფოსტერ დალესი. კუბაში მეტი თავისუფლებაა, ვიდრე შეერთებულ შტატებში“.

ზუგდიდი. სტალინის სახელობის მოედანი. ფოტო შ. ჩხეტიანისა.

საფრანგეთის XXVI ჩემპიონატი

მეხუთე ტური

გუშინ XXVI საჭადრაკო ჩემპიონატის მონაწილენი კვლავ რუსთაველის სახელმწიფო თეატრის სცენაზე იყვნენ. ჩართეს საათები, დაიწყო ბრძოლა. ეს იყო პირველობის გათამაშების მეხუთე ტური.

შეხვედრათა უმრავლესობა ხასიათდებოდა შეუპოვრობით, მაღალტექნიკური თამაშით. ამ ტურს თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ ყაიმების ტური, რადგან 10 პარტიიდან 6 ყაიმით დამთავრდა.

მეხუთე ტური აღსანიშნავი იყო იმითაც, რომ გამოვლინდა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მიერ დაწესებული ჯილდოს გათამაშებაში გამარჯვებული. პრიზი მოიპოვა ლენინგრადის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის საჭადრაკო წრეში აღზრდილმა, ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილემ გროსმაისტერმა ბორის სპასკიმ, რომელმეც ს. ფურმანთან გუშინდელ შეხვედრაში ყაიმი გააკეთა და პირველ 5 ტურში შეგროვილი 3,5 ქულით ყველას გაუსწრო.

მრავალრიცხოვან მაყურებელთა ყურადღების ცენტრში იყო გროსმაისტერების მ. ტალისა და პ. კერესის პარტია. ლაზიერის გამბიტში პ. კერესმა აირჩია თეორიაში ტარაშის დაცვით ცნობილი გაგრძელება. შავებმა ცენტრში მიიღეს განცალკევებული პიკი. მ. ტალი ცდილობდა მხედრების გაცვლით ლაზიერის ფრთაზე ბრძოლა გაემწვავებია. პ. კერესი გაბედულად წინ წევს ლაზიერის პაიკებს. მე-19 სვლაზე ესტონელმა გროსმაისტერმა მოწინააღმდეგეს ყაიმი შესთავაზა, მაგრამ მ. ტალმა უარყო ეს წინადადება და მორიგ სვლაზე 35 წუთზე მეტი იფიქრა. პ. კერესმა მოახერხა პაიკის მოგება. თითქოს მ. ტალის დამარცხება გარდუვალი იყო, მაგრამ ფიგურათა გადაჯგუფებით სსრ კავშირის ჩემპიონმა პ. კერესი აიძულა პასიურად ემოქმედა. რამდენიმე ფიგურის გაცვლის შემდეგ 35-ე სვლაზე მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ასეთივე შედეგით დამთავრდა ა. ლუტიკოვ-ნ. კროგიუსის, ე. ვასიუკოვ-ვ. კორჩნოის, დ. ბრონშტეინ-რ. ხოლმოვის, ტ. პეტროსიან-ე. გელერის პარტიები.

მეხუთე ტურში ბ. გურგენიძე თეორიებით თამაშობდა ა. ნიკიტინის წინააღმდეგ. ხაჭართველოს ჩემპიონში აირჩია კატალონის ვარიანტი ორივე კუს ფლანგებზე განვითარებით. მე-11 სვლაზე მოსკოველი მოჭადრაკე შეეცადა ლაზიერის ფრთაზე გაეხსნა ხაზები, რომელსაც ბ. გურგენიძემ თავი აარიდა. დაიწყო მანევრირებული ბრძოლა. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ჩინებულად გადაჯგუფა მხედრები და ცენტრს დაეუფლა. 21-ე სვლაზე ლამაზი კომბინაციით ბ. გურგენიძე დებულობს მატერიალურ უპირატესობას (2 ეტლი 3 მხუბუქი ფიგურის წინააღმდეგ) და აქტიურ პოზიციას.

ეს პარტია გადაიდო, ხადაც ბ. გურგენიძეს მოგების შანსები აქვს.

ე. გუფელდ-მ. ტაიმანოვის პარტია გადაიდო ეტლების ენდშპილში მ. ტაიმანოვის მცირე უპირატესობით. ლ. პოლუგაიევსკის რ. ნეუმტდინოვთან გადადებულ პარტიაში ზედმეტი პაიკი აქვს. მწვავე ბრძოლის შემდეგ საყაიმო მდგომარეობაშია გადადებული ი. ავერბახ-ი. იუხტმანის პარტია.

ხუთი ტურის შემდეგ წინ არიან: ბ. სპასკი (3,5 ქულა), მ. ტალი, ტ. პეტროსიანი, ე. ვასიუკოვი და ვ. კორჩნოი (სამ-სამი ქულა).

დღეს გაიმართება მეექვსე ტური.

ა. ფალავანდიშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

* * *

გროსმაისტერები სტუმრად გორში

16 იანვარი სსრ კავშირის XXVI საჭადრაკო ჩემპიონატის ფინალის მონაწილეთათვის დასვენების დღე იყო. ჩვენმა სტუმრებმა სურვილი გამოთქვეს დაეთვალიერებინათ თბილისის ახლომდებარე რაიონები, გაცნობოდნენ ადგილობრივ ფიზკულტურულ ცხოვრებას, ღირსშესანიშნავ ადგილებს.

მოჭადრაკეთა დიდი ინტერესი გამოიწვია მცხეთის ისტორიულმა ადგილებმა, კერძოდ სვეტიცხოველის ტაძარმა. გზადაგზა ისინი ეცნობოდნენ საკოლმეურნეო ცხოვრებას, ახალ მშენებლობებს.

მალე ავტობუსი გორში ჩავიდა. ადგილობრივმა მშრომელებმა, მოსწავლე ახალგაზრდობამ ჩვენ სახელოვან მოჭადრაკეებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს. სტუმრებმა დაათვალიერეს გორის ი. ბ. სტალინის მუზეუმი, სპორტული ნაგებობები.

მცირე შესვენების შემდეგ საკავშირო ჩემპიონატის მონაწილენი გაემართნენ გორის რაიონის ხიდისთავის კოლმეურნეობაში, სადაც გაეცნენ საკოლმეურნეო ცხოვრებას, დაათვალიერეს ამავე კოლმეურნეობის დიდი მარანი.

სტუმრები კმაყოფილი დარჩნენ ქართული სტუმართმოყვარეობით და მხიარულად დაბრუნდნენ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში.

მოკლედ

„მინდა ყველაფერი ვიცოდე“

საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში წაკითხულ იქნა ლექციები ზეპირი ჟურნალის „მინდა ყველაფერი ვიცოდე“ სერიიდან. ლექციები წაიკითხეს: დოცენტმა რ. შადერმა — „კოსმოსური რაკეტა და სპალნეტაფთშრისო მოგზაურობა“ და ვ. ჭელიძემ — „შექსპირის მემორიალური თეატრის გასტროლები“. დასასრულ ნაჩვენები იყო ახალი დოკუმენტალური ფილმები.

თ. ღვინიაშვილი.

სტუმრად კიევში

შარშან გორკის სახელობის კულტურის სახლის გამგეობამ თბილისის 1500 წლისთვის ზეიმზე მოიწვია თავისი უკრაინელ მეგობრები — კიევის კვების მუშაკთა კულტურის სასახლის თვითმოქმედი ანსამბლის წევრები. ანსამბლმა თბილისელებს უჩვენა ოპერა „ნატალკა-პოლტავკა“. დეკემბერში გორკის სახელობის კულტურის სახლთან არსებული თვითმოქმედი კოლექტივი საპასუხო ვიზიტით ეწვია კიევს, სადაც 6 კონცერტი გამართა. კიეველები გულთბილად შეხვდნენ თბილისელ სტუმრებს.

ა. ჯანველიანი.

დამსახურებული ჯილდო

კურორტებზე მშრომელთა ხანგრძლივი და საუკეთესო მომსახურებისათვის საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის სამეთაო სიგელებით დაჯილდოებული არიან კურორტ გაგრის სანატორიუმ „მაიაკის“ კულტმუშაკი ვ. ვალერსკი, კურორტ საირმის სანატორიუმ „საირმის“ კულტმუშაკი ვ. ჟოვიძე, კურორტ წყალტუბოს სანატორიუმ „ეელეზნოდოროჟნიკის“ კულტმუშაკი დ. მაკედონსკი, კურორტ წყალტუბოს პანსიონატის კულტმუშაკი შ. მირზოევი, ბორჯომის საკურორტო ბიბლიოთეკის გამგე მ. ნაკონეჩნიკოვა, კურორტ გაგრის სანატორიუმ „ჩელუსკინელების“ კულტმუშაკი ო. ხერუვიმოკი.

შ. უნგიაძე.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
ორშაბათს, 19 იანვარს, ხუთშაბათს, 22 იანვარს
ალ. აფხაიძე
არაგველები
პარასკევს, 23 იანვარს
კ. ბუაჩიძე
**ამბავი სიყვარ